ევროკავშირი
საქართველოსთვის

ამბროლაურის 2024-2028 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

2024 წ.

ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

ამბროლაურის 2024-2028 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

2024 წ.

ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

დათქმა

ამბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრთან (SGRC) ერთად, და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

ცხრილები და დიაგრამები 4

ცხრილები 4

დიაგრამები 4

სტრატეგიაში გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები 4

შეჯამება 5

1. მეთოდოლოგია 8

2. LEADER მიდგომა და ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG) 9

მოკლედ LEADER მიდგომის შესახებ 9

ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი 10

ამბროლაურის LAG-ის შემადგენლობა 11

ამბროლაურის LAG-ის მმართველობა და მართვა 12

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემოს მიმოხილვა 14

3.1. ზოგადი დახასიათება 14

3.2. რელიეფი და ლანდშაფტი 14

3.3. ჰიდროგრაფიული ქსელი 15

3.4. კლიმატი 15

3.5. ნიადაგსაფარი 16

3.6. სასარგებლო წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები 17

4. სტრატეგიული მიმართულებები 18

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება 20

5.1. მოსახლეობა და დემოგრაფია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 20

5.2. დასაქმება 22

5.3. სოციალური მიმართულება 24

5.4. ახალგაზრდული მიმართულება 24

5.5. დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულების შეჯამება 28

5.6. SWOT ანალიზი 29

5.7. ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები 31
6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულება 34
6.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი 34
6.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მიმართულების შეჯამება 37
6.3. SWOT ანალიზი 38
6.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები 41
7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება 43
7.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების მიმოხილვა 43
7.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების შეჯამება 45
7.3. SWOT ანალიზი 46
7.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 48
8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება 50
8.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების მიმოხილვა 50
8.2. ტურიზმის მიმართულების შეჯამება 54
8.3. SWOT ანალიზი 55
8.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 58
9. სტრატეგიული ინტეგრაცია 61
10. მონაწილეობითი დაგეგმვა 62
10.1. დაგეგმვის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა 62
11. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება 65
I დონის შეფასება - სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა 66
II დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები 66
III დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები 66
IV დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები 66

ცხრილები და დიაგრამები

ცხრილები

ცხრილი #1: სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები

ცხრილი #2: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

ცხრილი #3: დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს-სექტორში

ცხრილი #4: ბიზნეს და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლის შედარებითი მაჩვენებლები

ცხრილი #5: ინფორმაცია 2022 წელს მნიშვნელოვანი კულტურების ფართობის, წარმოების საჰექტარო მოსავლიანობის შესახებ

ცხრილი #6: ამბროლაურის ტურიზმის სექტორის ზოგადი მაჩვენებლები

ცხრილი #7: მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები და პერიოდულობა

დიაგრამები

დიაგრამა #1: LEADER მიდგომის 7 ძირითადი მახასიათებელი

დიაგრამა #2: მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა

სტრატეგიაში გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

CLLD	თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება
ENPARD	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
LDS	ადგილობრივი განვითარების სტრატეგია
LEADER	სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი

შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) 2024-2028 წლებისთვის, რომელიც მოამზადა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG) ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების - სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობითა და LEADER მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს იმ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის საქმიანობა.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მომზადდა ევროკავშირის მიერ ENPARD IV პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში.

სტრატეგია ჩამოყალიბებულია ადგილობრივი საჭიროებების და პრიორიტეტების საფუძველზე, რომლებიც გამოვლინდა ფართომასშტაბიანი კვლევების, კონსულტაციებისა და საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად. კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე თემატურმა ჯგუფებმა, რომლებმაც გაწერეს ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებით უნდა განვითარდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

*სტრატეგია მოიცავს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მიმართულია როგორც **სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური განვითარების, ასევე გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველსაყოფად**.*

სტრატეგიის მთავარი მიზანია **მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება**, **ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება** და **ახალი სამუშაო ადგილების შექმნა**. გარდა ამისა, სტრატეგია ითვალისწინებს **მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას**, რაც ერთობლიობაში უზრუნველყოფს **თანაბარ შესაძლებლობებს** როგორც ადგილობრივ ფერმერებისა და მცირე მეწარმეებისთვის, ისე ახალგაზრდა თაობისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის. **დოკუმენტის საბოლოო მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განვითარებისა და კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევა**, რაც ხელს შეუწყობს **მუნიციპალიტეტის მდგრადობას** და **სამომავლო ინიციატივების წარმატებას**. ამასთანავე, სტრატეგიის მიზანია მუნიცეპალიტეტის მოსახლეობისათვის გახდეს უფრო მკაფიო და ხელშესახები, ევროკავშირის მხრიდან პროექტების დაფინანსების და მიზნების შესახებ.

სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგები მოიცავს:

- ✓ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას;
- ✓ სიღარიბის დონის შემცირებას და სამუშაოს მაძიებელთათვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას;
- ✓ ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას და ახალი, თანამედროვე ინიციატივების დანერგვას;
- ✓ სოფლის მეურნეობის განვითარებას და საკვები პროდუქტების წარმოების ზრდას;
- ✓ ახალგაზრდების, მეწარმეების და ფერმერების ჩართულობის გაზრდას და მათთვის საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების შექმნას;
- ✓ მდგრადი გარემოსდაცვითი ინიციატივების დანერგვას და ეკოლოგიური რესურსების დაცვას.

სტრატეგია ითვალისწინებს **სამომავლო ხედვას**, სადაც:

> *ამბროლაურის მუნიციპალიტეტი გადაიქცევა **ეკონომიკურად ძლიერ, სოციალურად გაერთიანებულ და გარემოსდაცვითად მდგრად ადგილად**.*

ამ დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტები და განვითარების მიზნები ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დარჩენას, მიგრაციის შემცირებას და ამბროლაურის, როგორც რეგიონული განვითარების ჰაბის ჩამოყალიბებას. **ამ სტრატეგიის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ფართო სოციალური ჩართულობითა და ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევით**, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მდგრად და გრძელვადიან განვითარებას.

ამ შედეგების მისაღებად სტრატეგიით განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მოცემულია ცხრილში#1.

ცხრილი #1: სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები

მიმართულება	მიზანი	ამოცანა
ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება	**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიგრაციის ტემპის შემცირება, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ახალგაზრდებისა და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის ცხოვრების, დასაქმებისა და დასვენების უკეთესი შესაძლებლობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.**	**ამოცანა #1:** თანამედროვე, ახალგაზრდების საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში
		ამოცანა #2: ახალგაზრდების ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი) გაზრდა

		ამოცანა #3: ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის განვითარებასა და ახალგაზრდული საკითხების გადაწყვეტაში
სოფლის მეურნეობის მიმართულება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება, რაც გულისხმობს როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მიმართულებების განვითარებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, ინოვაციური მიდგომებისა და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას და მდგრად განვითარებას.	**ამოცანა #1:** სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, კლიმატ-გონივრული გადაწყვეტების, ხარისხის კონტროლის, თანამშრომლობისა და ბრენდირების კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
		ამოცანა #2: სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატების დანერგვის სტიმულირება
		ამოცანა #3: სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამუშავებელი და გადამამუშავებელი წარმოებისა და ამ პროცესში კლიმატ-გონივრული გადაწყვეტების გამოყენების სტიმულირება
ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს ახალი ბიზნესების წამოწყების წახალისებას, არსებული ბიზნესების გაძლიერებას და ინოვაციების დანერგვას, რათა რეგიონი გახდეს კონკურენტუნარიანი, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.	**ამოცანა #1:** მეწარმეობით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობის აღჭურვა ბიზნესის წამოწყება-მართვის და დაფინანსების მოპოვების უნარებით
		ამოცანა #2: ბიზნესის დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებთან ადგილობრივი მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესება
		ამოცანა #3: ინოვაციური ბიზნეს იდეების განხორციელების მხარდაჭერა
ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურიზმის პოტენციალის ათვისების მასშტაბის გაზრდა და გამრავალფეროვნება.	**ამოცანა #1:** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, როგორც ოთხი სეზონის ტურისტული დანიშულების ადგილის, ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა
		ამოცანა #2: ტურიზმის სექტორში დასაქმებული/ტურიზმის სექტორით დაინტერესებული პირების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და მათი შერბილების მიმართულებით.

1. მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ამბროლაურის 2024-2028 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას, რომელიც მოამზადა ამბროლაურის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG) ევროკავშირის LEADER/CLLD მიდგომის გამოყენებით.

დოკუმენტი მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების, სამეწარმეო და საჯარო სექტორების თანამშრომლობისა და მოსახლეობის ჩართულობით. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს იმ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის საქმიანობა.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მომზადდა პროექტის **„მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“** მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, ევროკავშირის დაფინანსებით ENPARD 4 პროგრამის ფარგლებში.

ამბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია არის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია **მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება** და **ახალი სამუშაო ადგილების შექმნა**.

სტრატეგიის საბოლოო მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განვითარებისა და კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მდგრადობას და სამომავლო ინიციატივების წარმატებას.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება LEADER/CLLD მიდგომასა და პრინციპებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უკეთ შეფასებისა და წინა პლანზე წამოწევის მიზნით, პროცესში ადგილობრივთა მრავალმხრივი ჩართულობის უზრუნველყოფას.

ამბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მოიცავს სიტუაციურ ანალიზსა და სტრატეგიულ ნაწილს, მათ შორის, მონიტორინგს და შეფასებას. სტრატეგიის სიტუაციური ანალიზის ნაწილი მოიცავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა თემატური

მიმართულებებით არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგებს. სიტუაციური ანალიზის მომზადებისას, გარდა მუნიციპალიტეტის, რეგიონისა და სახელმწიფოს დონეზე შემუშავებული დოკუმენტების ანალიზისა, ჩატარდა თვისებრივი კვლევა და დარგების მიხედვით შემუშავდა ე.წ. SWOT, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით.

SWOT ანალიზში დეტალურად არის განხილული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ სფეროებში არსებული მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი ძლიერი და სუსტი მხარეები, ისევე როგორც შესაძლებლობები და გამოწვევები, რის შედეგადაც გამოიკვეთა იმ სუსტ მხარეებზე რეაგირების გზები, რომლებიც დაეხმარება მუნიციპალიტეტს მაქსიმალური სარგებელი მიიღოს შესაძლებლობებისგან და ეფექტურად გაუმკლავდეს საფრთხეებს სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად.

2. LEADER მიდგომა და ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG)

მოკლედ LEADER მიდგომის შესახებ

LEADER (სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი) წარმოადგენს ევროპულ პროგრამას, რომლის მიზანია სოფლის ტიპის დასახლებებში ადგილობრივი აქტორების ჩართვა საკუთარი რეგიონების განვითარებაში. ეს პროგრამა უკვე თითქმის 30 წელია რაც არსებობს და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მიდგომის რეალიზაციისთვის იქმნება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAG), რომლებიც შეიმუშავებენ და ახორციელებენ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებს[1].

დიაგრამა #1: LEADER მიდგომის 7 ძირითადი მახასიათებელი



[1] ევროპის LEADER ასოციაცია ადგილობრივი განვითარებისთვის (ELARD). ხელმისაწვდომია: http://elard.eu/organization/

სტრატეგიის შემუშავების მომენტისთვის საქართველოში უკვე დაფუძნებულია 22 LAG. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაფუძნებულია 4 LAG - ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ფარავენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს სრულად.

ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

ამბროლაურის ადგილობრივი საქმოდმედო ჯგუფი დაფუძნდა 2024 წლის 1 თებერვალს როგორც წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ამბროლაურის LAG შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და მისი წესდების მიხედვით. ამბროლაურის LAG-ის მიზანია:

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“.

მიზნის მისაღწევად LAG-ს განსაზღვრული აქვს ამოცანები, რომლებიც მოიცავს:

- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობითი კულტურის გაძლიერება, მათი შესაძლებლობებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფელში, მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და შემოსავლის მომტანი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილობრივი ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერება; ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება-მხარდაჭერა;
- ადგილობრივი მოსახლეობის როლის გაზრდა სოფლის განვითარებაში;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა სოფლის განვითარებისთვის;
- მეწარმეობის, ორგანული სოფლის მეურნეობის, ეკოტურიზმის და მუნიციპალიტეტისთვის სხვა აქტუალური მიმართულებების სტიმულირება;
- სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა, ციფრული სერვისების გაუმჯობესება-დანერგვის მხარდაჭერა;
- ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფლის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და მისი საინვესტიციო მიმზიდველობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ამოცანების მისაღწევად ამბროლაურის LAG-ს შეუძლია შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- ✓ საინფორმაციო-საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა;
- ✓ საჯარო, სამეწარმეო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ✓ დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ ჯგუფებთან, პოტენციურ პარტნიორებთან, სხვა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან კავშირების დამყარება - ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის;
- ✓ სოფლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ინოვაციური მიდგომების წახალისება-მხარდაჭერა;
- ✓ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების მოძიება-მოზიდვა და პროექტების განხორციელება;
- ✓ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა - საგრანტო კონკურსის ჩატარება, პროექტის შერჩევა, გრანტების გაცემა და პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ დონორ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და მათი ინფორმირება წარმატებული პროექტებისა და ახალი ინიციატივების შესახებ.

ამბროლაურის LAG-ს, ასევე, შეუძლია კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.

ამბროლაურის LAG-ის შემადგენლობა

ამბროლაურის LAG-ი დაფუძნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების მიერ ერთობლივად და მისი შემადგენლობა უზრუნველყოფს სამივე სექტორის ინტერესების თანაბრად დაცვას. ორგანიზაციის წესდების თანახმად, LAG-ის წევრთა რაოდენობა საჯარო სექტორიდან არ შეიძლება აღემატებოდეს ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის 49%.

ამბროლაურის LAG-ის წევრთა გადანაწილება სექტორებს შორის

სექტორი	**წევრთა რაოდენობა**		**სამოქალაქო და სამეწარმეო სექტორი ერთად**
	რაოდენობა	**%**	
საჯარო სექტორი	10	23,8 %	**76,2 %**
სამოქალაქო სექტორი	21	50 %	
სამეწარმეო სექტორი	11	26,2 %	
სულ	**42**	**100 %**	

ამბროლაურის LAG-ის მმართველობა და მართვა

LAG-ის საერთო კრება

ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც შედგება მისი ყველა წევრისგან. შესაბამისად, სტრატეგიის შემუშავების მომენტისთვის საერთო კრების შემადგენლობა განსაზღვრულია 42 წევრით.

გეგმიური საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კრების რიგგარეშე მოწვევა. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სტრატეგიულ საკითხებზე და ასევე ისმენს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს.

საერთო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს. წესდებით დამატებითი პირობებია განსაზღვრული წესდებაში ცვლილებების შეტანის, ორგანიზაციის რეორგანიზაციის, შერწყმა-გაყოფისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში.

საერთო კრების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის მმართველი საბჭო, რომელიც LAG-ის მმართველ ორგანოს წარმოადგენს. მმართველ საბჭოს ერთი წლის ვადით, ფარული კენჭისწყრის გზით ირჩევს საერთო კრება.

მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო პასუხისმგებელია საერთო კრების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიას და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საერთო კრების წინაშე.

ამბროლაურის LAG-ის მმართველი საბჭო შედგება საერთო კრების მიერ არჩეული 15 წევრისგან. მმართველი საბჭოში სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორები წარმოდგენილი არიან თანაბარი რაოდენობით - თითოეული სექტორი 5 წარმომადგენლით.

მმართველი საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად და მის სხდომებს უძღვება მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის პირობებში მმართველი საბჭოს უხუცესი წევრი.

მმართველი საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და მის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს.

მმართველი საბჭო ირჩევს მმართველი საბჭოს თავმჯომარეს მმართველი საბჭოს წევრთაგან და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას, ამტკიცებს ორგანიზაციის სტრუქტურასა და ბიუჯეტს, ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებსა და განვითარების გეგმას, პასუხისმგებელია წესდებაში შესატანი ცვლილებების/ახალი წესდების შემუშავება-საერთო კრებისთვის წარდგენაზე; შეიმუშავებს და ამტკიცებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას; ქმნის სამუშაო ჯგუფებს, კომიტეტებს, კომისიებს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. შეიმუშავებს და ამტკიცებს მათ სახელმძღვანელო წესებს, შემადგენლობასა და პასუხისმგებლობებს, ამტკიცებს ორგანიზაციის ლოგოსა და სიმბოლიკას, წყვეტს ორგანიზაციის სხვა გაერთიანებებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს.

ორგანიზაციული დეტალები

ორგანიზაციის სახელწოდება	ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი Ambrolauri Local Action Group
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
მისამართი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი წესი, მე-17 ქ. #37
ტელეფონის ნომერი	+995 551095208
ელ. ფოსტა	info@ambrolaurilag.ge
ვებ გვერდი	www.ambrolaurilag.ge
საკონტაქტო პირი	ნინო კერესელიძე, მმართველი საბჭოს თავმჯდომარე

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემოს მიმოხილვა

3.1. ზოგადი დახასიათება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილო–აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ონის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-დასავლეთიდან ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტები, სამხრეთ-დასავლეთიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), სამხრეთიდან - ტყიბულის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან - ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტები (იმერეთის რეგიონი).

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1142 კვ.კმ-ია, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 720 მ.

3.2. რელიეფი და ლანდშაფტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი შედის კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაოჭა ზონაში, რომელიც ძირითადად აგებულია იურული და ცარცული თიხაფიქლებით, კირქვებით, ქვიშაქვებით, მერგელებითა და მესამეული თაბაშირიანი თიხებით. რელიეფი უმეტესად საშუალო და მაღალმთიანია. სამხრეთ აღმოსავლეთით და სამხრეთ დასავლეთით საზღვარი გასდევს რაჭის ქედს, რაჭის ჩრდილოეთი კალთა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შედის. ჩრდილოეთით გაწოლილია ლეჩხუმის ქედი (მთავარი მწვერვალები: სამერცხლე, ჭუთხარო, კარეტა, ლუხუნისწვერი), ხოლო აღმოსავლეთით მდებარეობს ლუხუნისა და საკაურის წყალგამყოფი ქედი. დასავლეთით მუნიციპალიტეტის ფარგლებშია ლეჩხუმისა და რაჭის ქედების განშტოებები. მუნიციპალიტეტის ყველაზე დაბალი ნაწილი უჭირავს რაჭის (ამბროლაურის) ქვაბულის ფსკერს (500მ). რელიეფის ჩამოყალიბებაში ტექტონიკურ და ეროზიულ პროცესებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეოთხეულმა გამყინვარებამ. მაღალ ქედებზე შემორჩენილია პატარა მყინვარები და ძველი გამყინვარების ნიშნები (კარები, ცირკები და სხვა). მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია რელიეფის კარსტული ფორმები. მდინარე ლუხუნის ხეობაში არის დარიშხანის საბადო (ამჟამად დაკონსერვებულია), მოიპოვება ქვანახშირი, თაბაშირი, მანგანუმი. უხვადაა სამკურნალო და მინერალური წყალი (სოფლები ურავი, ჭრებალო, აბანოეთი, გორისუბანი, ლიხეთი, ხიდიკარი).

ძირითადი ლანდშაფტებია: 1) ქვაბული კოლხური მცენარეულობით ალუვიურ და კორდიანკარბონატულ ნიადაგებზე; 2) დაბალი მთა-ტყის ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარით

და წიფლნარ-წაბლნარით კორდიან-კარბონატულ და ყომრალ ნიადაგებზე (ზოგან კარსტული); 3) საშუალო მთა-ტყის ლანდშაფტი წიფლნარით და წიფლნარმუქწიწვოვნებით კორდიან-კარბონატულ და ყომრალ ნიადაგებზე (ზოგან კარსტული); 4) მაღალმთის მთა-მდელოს (სუბალპური და ალპური) ლანდშაფტი მთის მდელოს ნიადაგებზე (ზოგან კარსტული).

3.3. ჰიდროგრაფიული ქსელი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროლოგიურად. წყლის ძირითადი არტერიაა მდ. რიონი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედიდან – ფასის მთიდან, იგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 40 კმ-ზე მიედინება და თითქმის შუაზე ყოფს მას. მდინარის ხეობა სოფლებს კვაცხუთსა და წესს შორის შევიწროებულია (სიგანე 20–25მ) და ცნობილია ხიდიკრის კლდეკარის სახელით. რიონის მარცხნივ შენაკადებია კრიხულა, ზნაკურა, შარეულა; მარჯვნივ – ლუხუნი, რიცეულა და ასკისწყალი. მდინარეები უმთავრესად საზრდოობენ მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლებით, ნაწილობრივ – მყინვარებით; წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში. არის პატარა ტბები: ჭელიაღელე და საწურბლია (ნაკარევი). შაორის წყალსაცავი კი საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია.

შაორის წყალსაცავი — უდიდესი წყალსაცავია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, შაორის ქვაბულში. შექმნილია მიწაყრილის კაშხალით, რომელიც აგუბებს მდინარე შაორს. შაორის წყალსაცავი გადაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ - სიგრძე 7,1 კილომეტრი, უდიდესი სიგანე – 2,7 კილომეტრი, უდიდესი სიღრმე 14,5 მეტრი, საშუალო სიღრმე 9,8 მეტრი, ფართობი 9,2 კმ², წყლის მოცულობა 90,6 მლნ მ³. საზრდოობს შენაკადებითა და ნალექებით, რომლებიც მის ზედაპირზე მოდის (წელიწადში 1500მმ). ქვაბული აგებულია ქვედაცარცული კარბონატული ქანებით, სადაც კარგადაა განვითარებული კარსტული პროცესები. ქვაბულში იყო პატარა კარსტული ტბები – ხარისთვალი და ძრიხისთვალი, რომლებიც წყალსაცავის წყლითაა დაფარული. წყალსაცავის ნაპირები მეტწილად დაბალი და დამრეცია, ზოგან ფლატეებია იგი ხელოვნურ წყალსაცავს წარმოადგენს, რომლის ირგვლივ გაშენებულია უნიკალური ჯიშის ტყეები.

3.4. კლიმატი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კლიმატი გარდამავალია ზომიერსა და ნოტიო სუბტროპიკულს შორის. დაბალმთიანეთში ზომიერად ცივ-ზამთრიანი და შედარებით ცხელ-ზაფხულიანი ჰავის ტიპია გაბატონებული, მაღალმთიანი ზონისათვის კი უხვთოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი.



3.5. ნიადაგსაფარი

მთლიანობაში, რაჭაში სახნავი მიწების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია მდინარეთა ხეობების ტერასებთან და პროლუვიურ, აკუმულაციურ ვაკეებთან, რომელთაც სწორი და მცირე დახრილობის ზედაპირი ახასიათებთ. მდ. რიონის ჭალები და ჭალისზედა ტერასები სწორედ ასეთ აკუმულაციურ ვაკეებს წარმოადგენენ და ნაყოფიერი, ალუვიური ნიადაგებით არიან დაფარული. მცირე დახრილობის (0-50) და კარგი დანესტიანების გამო, ეს მიწები ხელსაყრელია მარცვლოვანი კულტურებისათვის და მასზე სიმინდი მოჰყავთ. შედარებით მცირე ფართობები უკავია მრავალწლიან ნარგავობას - ვენახს და ხეხილის ბაღებს. მევენახეობის არაორდინალური პროდუქცია რაიონში ამ კულტურით დაკავებული ფართობების ზრდის გარანტიაა. ვაზისათვის და ხეხილის ნარგავებისათვის ასეთი გამოზიდვის კონუსები და სამხრეთი ექსპოზიციის, კარგად განათებული ფერდობები საუკეთესო ეკოლოგიურ გარემოს ქმნის. ამიტომ ეს ზოლი თავისი ნიადაგური და ჰიდროთერმული პირობების მიხედვით, მევენახეობისათვის იდეალურ მონაკვეთად შეიძლება ჩაითვალოს.

ანთროპოგენური ზემოქმედება ძირითადად პირუტყვის ძოვებით გამოიხატება, რაც უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის სიმძლავრეზე და აღდგენადობაზე. შედეგად განვითარებულია მეწყრები, უკუსვლითი ეროზია, ჩაქცევები და ქვათაცვენები, რაც იწვევს ბედლენდების წარმოქმნას. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ზოლში არსებული წყლის ნაკადები უმეტესწილად ღვარცოფულ ხევებს წარმოადგენენ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას როგორც მათ აუზში მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ისე დასახლებულ პუნქტებს. მდ. რიონის მარცხენა ფერდობი ასევე არ გამოირჩევა სახნავი მიწების სიჭარბით. აქ მეტწილად წარმოდგენილია საშუალო დახრილობის უსწორმასწორო ფერდობები, რომლებიც ძველი ტერასებით ან მეწყრული სხეულების მოვაკებული ზედაპირებით იცვლება. ისინი უმეტესწილად დაფარულია მურყნარით და ფიჭვნარ-ეკალღიჭიანი ამონაყრით. აქ განვითარებულია აქტიური მეწყრული პროცესები, რაც ამცირებს მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ტერიტორიის ფართობს. სახნავად გამოიყენება შედარებით დამრეცი ფერდობები,

რომელზეც სიმინდი, ლობიო, კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებია წარმოდგენილი. ხეხილისათვის და ვენახებისათვის შედარებით მშრალი და კარგად განათებული ფერდობები გამოიყენება.

რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობები და შაორის წყალსაცავის მიმდებარე ადგილები გამოირჩევა ძლიერ ციცაბო, კლდოვანი რელიეფით, სადაც მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარია. სახნავი მიწების უმეტესი წილი აქ კარსტული წარმოშობის, შედარებით ნაკლები დახრილობის მქონე დოლინებში და უვალებშია მოთავსებული. ნიადაგი ნეშომპალა-კარბონატულია, ზედა ფენებში ჰუმუსის მაღალი შემცველობით. ნათესების მნიშვნელოვანი ფართობი აქ კარტოფილს უკავია, გარკვეული ნაწილი სიმინდისა და ლობიოს ნათესებს. გარკვეული ფართობი უჭირავს ხეხილის ნარგავებს. მეკარტოფილეობისა და მეცხოველეობისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის შედარებით მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა და რაჭის ქედის თხემურ ნაწილში სუბალპური მდელოების სიახლოვე, რომლებსაც ძირითადად სათიბებად იყენებენ.

3.6. სასარგებლო წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

მუნიციპალიტეტი მდიდარია იშვიათი წიაღისეულით, როგორიცაა ფერადი ლითონები და არალითონური წიაღისეული ქანები. მუნიციპალიტეტში მოიპოვება ქვიშა-ხრეში, კირქვა, ქვანახშირი, თაბაშირი, მანგანუმი, დარიშხანი და ა.შ. მიმდინარე მომენტისათვის ხორციელდება თაბაშირის მოპოვება ჭრებალოსა და მუხლის საბადოებიდან; საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით კირქვოვანი ღორღის კარიერების დამუშავება სოფლებში - ჟოშხა, ზნაკვა, ცახსა და თლუღი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ასევე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (ტყე, წყალი, ა.შ.). ტყით დაფარულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაახლოებით 65,3%. ტყის შემქმნელ ძირითად მერქნიან სახეობებს შორის, მაგარმერქნიანი ფოთლოვნებიდან ჭარბობს წიფელი, მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მუხნარებს, წიწვოვნებს. განვითარების კარგი დინამიკა აქვს სოჭის თესლის ექსპორტსაც, მაგრამ იმისთვის, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ დარგში მეტი მოგება ნახოს, აუცილებელია ისეთი სასათბურე მეურნეობების მშენებლობა, სადაც მოხდება სოჭის საექსპორტოდ გამზადებული ხეების გაზრდა.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლებით (ლიხეთი, ურავი, აბანოეთი, ბუგეული, სხვავა, ქვ. თლუღი, ჭრებალო), რომლებსაც ბალნეოლოგიური თვალსაზრისით დიდი ღირებულება აქვს და ეფექტურ შედეგს იძლევა რევმატიულ და ძვალ- სახსროვანი დაავადებების სამკურნალოდ.

4. სტრატეგიული მიმართულებები

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, რომელიც მონაწილეობით პრინციპს ეფუძნებოდა და რომელშიც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ბიზნეს, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ოთხი კრიტიკული საკითხი გამოიკვეთა, რომელზეც მიზანშეწონილი იყო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024-2028 წლების სტრატეგიის ფოკუსირება:

I. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება

II. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულება

III. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება

IV. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება

I. **დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება:** ამ პრიორიტეტული მიმართულების არჩევა განპირობებულია რეგიონის მოსახლეობის კლების, შობადობის დაბალი მაჩვენებლების და ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონით. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მოტივაციისა და დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა ქმნის სერიოზულ დემოგრაფიულ გამოწვევებს, რის გამოც აუცილებელია ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების განვითარება, რათა შემცირდეს მიგრაცია და გაიზარდოს ახალგაზრდების ადგილობრივი ჩართულობა.
II. **სოფლის მეურნეობა:** სოფლის მეურნეობა არის ამბროლაურის ძირითადი ეკონომიკური სექტორი, თუმცა მისი განვითარების დონე კვლავ დაბალია. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება და მისი მარკეტინგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მიმართულებაა. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია და ეკოლოგიური წარმოების განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ზრდას.
III. **ადგილობრივი ბიზნესი:** მცირე და საშუალო ბიზნესის ნაკლებობა და საინვესტიციო შესაძლებლობების დეფიციტი ართულებს რეგიონის ეკონომიკურ სტაბილურობას. ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, ახალი ბიზნეს ინიციატივების წახალისება და ფინანსური წვდომის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რათა გაძლიერდეს ბიზნესის როლი ეკონომიკის გაჯანსაღებაში.
IV. **ტურიზმის სექტორი:** ამბროლაური გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსებით, რაც დიდ ტურისტულ პოტენციალს წარმოადგენს. თუმცა, ინფრასტრუქტურის არარსებობა და სერვისების დაბალი დონე ხელს უშლის ტურისტების მოზიდვას. ტურიზმის სექტორის განვითარება არა მხოლოდ გაზრდის რეგიონის ცნობადობას, არამედ გახდება ეკონომიკური ზრდის სტიმული, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების გაძლიერებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

ეს ოთხი მიმართულება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია და მათი ინტეგრირებული განვითარება უზრუნველყოფს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მდგრადი განვითარების საფუძვლის შექმნას.

ამ მიმართულებებზე ფოკუსირებით შესაძლებელი გახდება სტრატეგიით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების რეალიზება და სწორედ მათ აქვთ პოტენციალი, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ყველაზე მასშტაბური გავლენა იქონიონ მდგრად ადგილობრივ განვითარებაზე.

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება

5.1. მოსახლეობა და დემოგრაფია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის რეგისტრირებული მოსახლეობა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 10.1 ათასი ადამიანის, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 38.5%-ია. [2] მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ქალების რაოდენობა აღემატება - მოსახლეობის 49.5% კაცები შეადგენენ, ხოლო 50.5% ქალები. მუნიციპალიტეტის ურბანიზაციის დონე საკმაოდ დაბალია და მოსახლეობის 80,6% სოფლად ცხოვრობს, ხოლო 19.4 % - ქალაქად[3].

> მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 10 წლის მანძილზე შემცირდა 11.2%-ით[1].

> ამბროლაურის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მეჩხერადაა დასახლებული და მოსახლეობის სიმჭიდროვე 8.9კაც/კვ.კმ-ს შეადგენს.

ქ. ამბროლაურის გარდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 18 ტერიტორიული ერთეული (თემები), რომლებშიც გაერთიანებულია 69 სოფელი. ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს თავად ქალაქ ამბროლაურს. სოფლების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია როგორც დიდი ზომილს სოფლები - სადაც მოსახლეობა მერყეობს 100-დან 799 რეგისტრირებულ პირამდე (სოფლების 47.8%), ისევე როგორც მცირე ზომის სოფლები, სადაც მოსახლეობა არის 1-დან 100 რეგისტრირებულ პირამდე (სოფლების 52.2%)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი მაჩვენებელი მიუთითებს მოსახლეობის დაბერებაზე; მუნიციპალიტეის მოსახლეობის მხოლოდ 43.9% შეადგენს 46 წლამდე პირები. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მოცემულია ცხრილში #2.

ცხრილი #2: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

ასაკობრივი ჭრილი	მოსახლეობის წილი
0-დან 7 წლამდე ასაკის	5.7%
7-დან 19 წლამდე ასაკის	9%
19-დან 46 წლამდე ასაკის	29.2%
46-დან 66 წლამდე ასაკის	29.7%
66-დან 91 წლამდე ასაკის	25.8
91-დან 100 წლამდე ასაკის	0.6%

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *მოსახლეობის რიცხვოვნობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობა.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/ambrolauri.php?lang=ka

100 წლის და მეტის	0%

2023 წლის მდგომარეობით, ასაკობრივი პენსიით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 3 499 ადამიანს. მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტის მიმღები 521 პირია და მათში კაცების რაოდენობა (67.6%) ორჯერ აღემატება ქალების რაოდენობას (32.4%). თითქმის წალების რაოდენობის ორმაგია. სოციალურ დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღები - 1237 ოჯახი.[4]

შობადობის მხრივ, 2012-2017წწ. მუნიციპალიტეტში ზრდა შეინიშნება, ხოლო 2017 წლიდან კლება, [5] თუმცა მიუხედავად დროის ამ მოკლე მონაკვეთში შობადობის ზრდისა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა განიცდის ბუნებრივ კლებას [6] და ეს ტენდენცია განსაკუთრებით მწვავედ დგას სასოფლო დასახლებებში. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 54 წელს, ქალის მედიანური ასაკი - 56 წელს[7].

2023 წლის მონაცემებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 22 საჯარო სკოლა, ხოლო მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა 1041 შეადგენს; საჯარო-სკოლამდელი აღზრდისა და განათლების 13 დაწესებულება ფუნქციონირებს, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 301 შეადგენს.[8]

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 39 დევნილი. შიდა მიგრაციის კუთხით კი სურათი საკმაოდ საინტერესოა; 2022 წლის მონაცემებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მანამდე სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები უფრო მეტი ადამიანი დარეგისტრირდა (254 პირი), ვიდრე პირიქით - ამბროლაურიდან სხვა მუნიციპალიტეტში დარეგისტრირების მაჩვენებელი (74 ადამიანი).

ზოგადად, მიგრაციის პრობლემა დამახასიათებელია მაღალმთიანი რეგიონებისათვის; ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიგრაცია გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: ახალგაზრდა თაობაში ეს არის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების მიზნით მიგრაცია და შემდგომ მუდმივად საცხოვრებლად სხვა ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში გადასვლა; ადგილზე დასაქმების უპერსპექტივობა და არსებულ სამუშაო ადგილებზე შრომის დაბალი ანაზღაურება (დიდ ქალაქებთან შედარებით) - ეს არამარტო ახალგაზრდა თაობის გადინებას იწვევს მუნიციპალიტეტიდან, არამედ შრომისუნარიანი მოსახლეობისაც; ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილი სამედიცინო სერვისების

[4] იქვე. *სოციალური უზრუნველყოფა*

[5] იქვე. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

[6] სხვაობა ცოცხლადშობილთა და გარდაცვლილთა რაოდენობებს შორის

[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi

[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/ambrolauri.php?lang=ka

მისაღებად გადადიან დიდ ქალაქებში, ვინაიდან მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები განიცდის მრავალპროფილური კადრების უკმარისობას.

5.2. დასაქმება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთლიანად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, საჯარო სექტორი წარმოადგენს ძირითად დამსაქმებელს.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეადგენს 88.5%, მათ შორის ქალი - 90.0%; რეგიონის ანალოგიური მაჩვენებელია 87.9%, მათ შორის ქალი - 88.8%[9].

2014 წლიდან 2022 წლამდე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 51.4%-ით არის გაზრდილი - 737 ადამიანიდან 1 115-მდე. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხვი იზრდებოდა 2016 წლიდან, თუმცა COVID-19 პანდემიის დროს მნიშნელოვანი ვარდნა განიცადა და 2022 წლის მაჩვენებელი (1115) ჩამოუვარდებოდა 2019 წლის მაჩვენებელს (1 136). ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ტენდენციები მოცემულია ცხრილში # 3.

ცხრილი #3: დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს-სექტორში[10]

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
დასაქმებულთა რაოდენობა	737	992	912	972	1129	1136	856	988	1115

რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულებს, 2022 წელს მათმა რიცხვმა შეადგინა 995 ადამიანი; ამასთანავე, 2014 წლიდან ეს მაჩვენებელი გაზრდილია 46.3%-ით. აქვე, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად COVID-19 პანდემიის დროს დაქირავებით დასაქმებულების რაოდენობის შემცირებისა, 2022 წლის მაჩვენებელი აღემატებოდა 2014 წლიდან ყველა წინა წლის მაჩვენებელს[11].

ბიზნეს სექტორში საშუალო თვიური ანაზღაურება ყოველწლიურად ზრდის ტენდენციას მიუთითებს. 2014 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში საშუალო თვიური ხელფასის ზრდამ შეადგინა 129% - 2014 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორში საშუალო თვიური ხელფასი იყო

[9] იქვე.
[10] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა. ხელმისაწვდომია:* https://regions.geostat.ge/regions/racha/ambrolauri.php?lang=ka
[11] იქვე.

465.1 ლარი, ხოლო 2022 წელს - 1063.7 ლარი, რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.[12]

2023-2024 წლებში პროექტის "მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა, რომელმაც მოიცვა ოთხივე მუნიციპალიტეტი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ პირთა 71% დასაქმებული იყო ბიზნეს (24%) ან სახელმწიფო (47%) სექტორში. გამოკითხვიდან, ირიბად, ასევე იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს საშუალოდ უფრო მაღალი ანაზღაურება აქვთ, ვიდრე სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებს. იმ შინამეურნეობების ყოველთვიური შემოსავალი, რომლებსაც ოჯახის წევრი სახელმწიფო სექტორში ჰყავთ დასაქმებული უფრო დაბალია (რესპონდენტთა მხოლოდ 55% აქვს 1000 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი), ვიდრე იმ შინამეურნეობებისა, რომლებსაც ოჯახის წევრები ბიზნეს სექტორში ჰყავთ დასაქმებული (რესპონდენტთა 69% აქვს 1000 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი).

ცხრილი #4: ბიზნეს და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლის შედარებითი მაჩვენებლები

თვიური შემოსავალი	ბიზნეს სექტორში დასაქმებულ რესპონდენტთა %	სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ რესპონდენტთა %
300 ლარამდე	1.2%	3.5%
300-600 ლარამდე	9.3%	19.4%
600-1000 ლარამდე	20.9%	31.8%
1000-1500 ლარამდე	29.1%	22.9%
1500-2000 ლარამდე	24.4%	19.4%
2000 ლარი და მეტი	15.1%	12.4%

ცხრილიდან იკვეთება, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შინამეურნეობების წილი ჭარბობს მაღალანაზღაურებად კატეგორიებში, ხოლო სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი - დაბალანაზღაურებად კატეგორიებში.

ახალგაზრდების დასაქმების კუთხით ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სტაჟირების პროგრამას მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის დადგენილების #245 შესაბამისად[13]. სტაჟირების პროგრამა შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ ახალგაზრდებს, მიიღონ გამოცდილება, რაც სასწავლებლად სხვა მუნიციპალიტეტებში წასული ახალგაზრდებისთვის ამბროლაურში დაბრუნება-დასაქმების მოტივაციას აჩენს. სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სტაჟირების პროგრამაში ექვსი ახალგაზრდაა ჩართული.

[12] იქვე.
13 საქართველოს მთავრობა. დადგენილება #245 (2024 წლის 31 ივლისი).

5.3. სოციალური მიმართულება

მუნიციპალიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის კუთხით, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამული დაფინანსებით არის გაწერილი. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას[14].

ამ კომპონენტში გასათვალისწინებელია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი მაჩვენებელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და ამ მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც არსებული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებასა და პროგრამული დაფინანსება მიზნობრივად ხორციელებას, ასევე სოციალურად დაუცველთა ზრდის ტენდენციის გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

5.4. ახალგაზრდული მიმართულება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ახალგაზრდობის მხარდჭერა. სხვადასხვა წლებში პროგრამა ითვალისწინებდა ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებისა და ინიციატივების პროგრამულ დაფინანსებას, ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას. მათი დიდი ნაწილი ორიენტირებული იყო ძირითადად მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის (სკოლის გარე) დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობაზე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 ბიბლიოთეკა, რომელთა საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 95 805 წიგნს; 6 სასოფლო კლუბი და ამბროლაურის კულტურის სახლი, თუმცა, გამოწვევას წარმოადგენს ბიბლიოთეკებში მოძველებული წიგნების ფონდი, რაც ვერ პასუხობს ახალგაზრდების ინტერესებს. კულტურის სახლში საკონცერტო დარბაზის ტევადობა 300 კაცზეა გათვლილი, სადაც ფუნქციონირებსსახალხო თეატრი, რომელიც ატარებს გასვლით სპექტაკლებს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის

[14] ამბროლაურის საკრებულო. *დადგენილება #38: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://ambrolauri.gov.ge/wp-content/uploads/2024/01/2024-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98.pdf

კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმი, სადაც 593 ექსპონატია განთავსებული; ასევე მუზეუმებია სოფელ აბარში და ველევში. 2024 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა კერძო საკუთრებიდან გამოისყიდა ამბროლაურის კინოთეატრის შენობა, რომელსაც, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა დაიტიოს როგორც კინოთეატრი, ასევე სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული და შემეცნებითი სივრცეები.

ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოქმედი როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის სპორტული ობიექტები, რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის; ასევე, შესაძლებელია უმასპინძლოს სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებს. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის და მეტწილად ახალგაზრდობის ფიზიკურ გაჯანსაღებაში და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი, რომელიც ერთდროულად 30 მოსარგებლეს იტევს. საცურაო აუზს ჰყავს შეღავათიანი ტარიფებით მოსარგებლე ბავშვები - 260 აბონემენტით მოსარგებლე; ასევე, 70 ერთჯერადად მოსარგებლე; აუზი ექსპლუატაციაში შევიდა 2013 წლის 1 თებერვალს.

ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. ჩატარებულია ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და ამ კვლევის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე, დამტკიცებულია 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გამოიკვეთა ახალგაზრდული საჭიროებების სამი პრიორიტეტი:

- დასაქმების ხელშეწყობა
- ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა
- ჰობი განათლებაზე[15] ხელმისაწვდომობა

დასაქმების კუთხით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. 2021 წელს საკონსულტაციო „ეისითი“-ს მიერ ახალგაზრდობის სააგენტოს დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით უმუშევრობა ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის ახალგაზრდობისთვის (14-29 წლამდე); ამ ასაკობრივი ჯგუფის ყოველი მეორე რესპონდენტი დასაქმების ხელშეწყობას ასახელებდა როგორც ყველაზე მნიშნელოვან საკითხს. [16] ამავე კვლევაში ახალგაზრების მიერ დასაქმების

[15] https://youthagency.gov.ge/%E1%83%B0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/

[16] საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“. (2021). *ადგილობრივ დონეზე ხალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.* ხელმისაწვდომია: https://ambrolauri.gov.ge/wp-content/uploads/2022/08/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-

ხელშემწყობ ფაქტორებად დასახელდა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში მხარდაჭერა (71%), დახმარება სტაჟირები პროგრამებსა და სამუშაო გამოცდილების დაგროვებაში (63%) და ინგლისური ენის შესწავლა/გაუმჯობესებაში (48%).

ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, მუნიციპალიტეტის მხრიდან დასაქმების ხელშეწყობის კუთხით ახალგაზრდებს მიეწოდებათ ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ. ამბროლაურში გაიხსნა დასაქმების სააგენტო, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ მოიძიონ სამუშაო ადგილები და საჭიროების შემთხვევაში გადამზადდნენ ამ სამუშაო ადგილებისთვის.

პროექტის "მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიურ კვლევაში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთაგან 67 წარმოადგენდა 35 წლამდე პირს. გამოკითხვის მომენტში მათი უმრავლესობა (80.5%) ამათუ იმ ფორმით იყო დასაქმებული ან თვითდასაქმებული. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ბიზნეს და საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო - ბიზნეს სექტორში 37.3% და 40.3% - საჯარო სექტორში. შინამეურნეობის შემოსავლის კუთხით, აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებული ახალგაზრდების 80% შინამეურნეობის ყოველთვიური შემოსავალი აღემატება 1000 ლარს, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა შინამეურნეობების მხოლოდ 59% შემოსავალი აღემატება 1000 ლარს. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა მესამედზე მეტი (34.3%) წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირს. რაც შეეხება თვითშეფასებას შემოსავლის კუთხით, მათი უმრავლესობა (63%) საკუთარ შემოსავალს აფასებს როგორც საშუალოს ან დამაკმაყოფილებელს, ძალიან მცირეა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც საკუთარ შემოსავალს აფასებენ როგორც კარგს (4%), ხოლო იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც საკუთარ შემოსავალს აფასებენ როგორც ცუდს შეადგენს გამოკითხულთა მესამედს (33%). შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ 18-35 ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია, თუმცა დასაქმების სტატუსის მიუხედავად, მათი საგრძნობი ნაწილი შემოსავლიდან გამომდინარე წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირს. ძალიან მცირეა ამ ასაკობრივ ჯგუფში იმ პირთა წილი, რომლებიც საკუთარ შემოსავალს აფასებენ როგორც "კარგს". აქედან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების დასაქმების კუთხით დაბალი ანაზღაურება წარმოადგენს ერთ-ერთ გამოწვევას.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა ასევე შეეხო ინტერესს ბიზნესის კეთების მიმართ. 18-35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ მაღალ ინტერესი გამოიკვეთა ბიზნესის დაწყების მიმართ - რესპონდენტთა 75%; თუმცა, მათგან უმრავლესობამ (90%) ვერ მიიღო გადაწყვეტიება ბიზნესის დაწყების შესახებ და მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად დაასახელეს საწყისი კაპიტალის არარსებობა. აქვე, აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა დაინტერესდა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართ ინტერესითაც; აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია (25.4%). მათგან, ვისაც საგრანტო კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია და ამის მიზეზი დაასახელა, ძირითადი მიზეზი იყო ინტერესის ნაკლებობა. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტთა 100%, რომლებმაც დაასახელეს ინტერესის ნაკლებობა საგრანტო

%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

კონკურსების მიმართ, დაინტერესებული იყო ბიზნესის კეთებით, თუმცა გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ ამის შესახებ და ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებდნენ საწყისი კაპიტალის ნაკლებობას. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 18-35 წლის ასაკობრივ ჯგუფში ინტერესი ბიზნესის მიმართ მაღალია, თუმცა ეს ინტერესი უფრო სურვილის ხასიათს ატარებს, ვიდრე რეალურ გადაწყვეტილებას, რომელსაც ქმედება მოსდევს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გრანტები არ აღიქმება ბიზნესის დასაწყებად საწყისი კაპიტალის შესაძლო წყაროდ. ეს, თავისმხრივ, წარმოშობს რისკებს, რომ პირები, რომლებსაც ინტერესი აქვთ ბიზნესის დაწყების მიმართ და საწყისი კაპიტალის არარსებობა აფერხებთ, ვერ ჩაერთონ სამეწარმეო საქმიანობაში, ვინაიდან დანაზოგის გაკეთება ადგილზე დაბალი ანაზღაურებიდან გამომდინარე რთულია, საბანკო სესხების ხელმისაწვდომობა დაბალი, ხოლო საგრანტო რესურსები - მათ მიერ დარჩება გამოუყენებელი ამ პროდუქტის მიმართ ინტერესის არარსებობის გამო.

მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფართოზოლოვანი ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელსაც ანხორციელებდა კომპანია ,,ოუფენ ნეტი“ [17] ; ამჟამად ძირითადი სამუშაოები დასრულებულია; მომდევნო ეტაპზე კი იგეგმება პროვაიდერი კომპანიების მიერ მუნიციპალიტეტის დასახლებების სრულად დაფარვა.

ამჟამად საკაბელო ინტერნეტით (პროვაიდერი ს.ს. ,,სილქნეტი“) სარგებლობს მხოლოდ ქალაქი ამბროლაური. დანარჩენი 69 დასახლება კი უსადენო სისტემით, რომელსაც ორი კომპანია უზრუნველყოფს -,,მაგთიკომი “და,,სილქნეტი“.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობისათვის, რადგანაც დიდ წილად მარტივდება სხვადასხვა სახის სერვისსა და ინფორმაცაზე ხელმისაწვდომობა. ასევე, ჩნდება საშუალება დისტანციური სწავლებისა და სასწავლო პროგრამების გაცნობის.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში ისევე როგორც საქართველოს სხვა მაღალთიან რეგიონებში, კვლავ უმწვავესად დგას ახალგაზრობის სხვა მუნიციპალიტეტებსა და დიდ ქალაქებში მასშტაბური მიგრციის საკითხი.

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში ჩატარდა შეხვედრები, მათ შორის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან და გამოიკვეთა ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც მათ მიაჩნიათ აქტუალურად. კერძოდ, განათლების მიმართულებით აღინიშნა, რომ სასურველია რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის ან სასწავლო ცენტრის გახსნა, ასევე, ისეთი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის წარმართვა, რასაც საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს, მაგალითად: ICT მიმართულება; დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების ჩამოყვანა და მათი პროფესიისა და გამოცდილების შესახებ მეტის გაგება, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

[17] Open Net. სახელმწიფო პროგრამა. ხელმისაწვდომია: https://opennet.ge/geo/static/13/sakhelmtsifo-programa

საერთო ინტერესებით დაკავშირებული ახალგაზრდებისათვის სივრცის გამოყოფა, სადაც შეძლებენ ერთმანეთისათვის იდეებისა და ინფორმაციის გაზიარებას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროფესიულ-ტექნიკური სწავლების შესაძლებლობა; ასევე, ისეთი მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა, როგორიც არის დიზაინი, კულინარია და სამშენებლო ბიზნესის მიმართულებით სხვადასხვა სპეციალობების დაუფლება.

შეხვედრებისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კულტურული ღონისძიებების მიმართულებით ერთჯერადი ღონისძიებების ჩატარება არაეფექტურია; გაცილებით ეფექტური იქნება თუ მთელი წლის მანძილზე მეტი სიხშირით ჩატარდება შედარებით პატარა ღონისძიებები. ასევე, გამოიკვეთა, რომ საჭიროა ბიბლიოთეკის განახლება ახალი და თანამედროვე საყმაწვილო ლიტერატურით; მხატვრული ლიტერატურის, კინოსა და თეატრის მოყვარულთა კლუბების შექმნა; ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების დამყარებას და მათ ინტეგრაციას საერთო ინტერესების ქვეშ. ახალგაზრდების სურვილია, რომ გაიხსნას მოთხოვნადი და პოპულარული სპორტის სექციები.

ახალგაზრდების აზრით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზაფხულის პერიოდში ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების საკითხს, ასევე, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ბანაკების მოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ყოველწლიურად განსახორციელებელი ღონისძიებები დაიგეგმოს ადგილობრივი ახლგაზრდების ჩართულობით - მათი მოსაზრებებისა და სურვილების გათვალისწინებით.

5.5. დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულების შეჯამება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთლიანი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, მწვავედ დგას მოსახლეობის დაბერების პრობლემა და ყოველწიურად იზრდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხვი. ამ პრობლემის ხელშემწყობ ფაქტორად იკვეთება შრომისუნარიანი ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან გადინება და მათი ნაკლები ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში. მუნიციპალიტეტში ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს სახელმწიფო სექტორი, ხოლო მიუხედავად ბიზნესის დაწყების მიმართ მაღალი ინტერესისა, ძალიან მცირე ნაწილი დგამს ბიზნესის დასაწყებად ქმედით ნაბიჯებს, რაც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, თუმცა ძირითად პრობლემას წარმოადგენს საწყის კაპიტალთან წვდომა. მსგავსი ტენდენციის შენარჩუნების პირობებში მაღალი ალბათობით მოსალოდნელია ზემოთხსენებული პრობლემების შენარჩუნებისა და კიდევ უფრო გამწვავების რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს და რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით უფრო მეტი აქტივობაა წარმოდგენილი, ახალგაზრდებისთვის მათზე მორგებული და ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი აქტივობების ნაკლებობა აღინიშნება. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია არსებული, თუმცა მოძველებული ინფრასტრუქტურით, რესურსებითა და შესაძლებლობებით, რომელიც არ პასუხობს ახალგაზრდების სურვილებსა და ინტერესებს.

შედეგად, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს მეტი მოტივაცია აქვთ მუნიციპალიტეტიდან გადინებისთვის და ამ გამოწვევების რეაგირების გარეშე დატოვება მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო მკვეთრად აისახება მუნიციპალიტეტის როგორც დემოგრაფიულ, ასევე სოციალურ მდგომარეობაზე.

5.6. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, როგორც მაღალმთიანი დასახლების კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათების არსებობა;
- სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტქსელის არსებობა;
- წელიწადის ოთხივე სეზონის აქტუალურობა;
- ახალგაზრდებში მაღალი ინტერესი ბიზნესის დაწყების მიმართ.

სუსტი მხარეები

- მოსახლეობის რაოდენობის ბუნებრივი კლება, ქვეყნის შიგნით და გარეთ მიგრაცია, დაბალი შობადობა;
- მოსახლეობის დაბერება;
- პროფესიონალი მუშა-ხელის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია ძირითადად დაბალი ანაზღაურებით;
- სოციალურად დაუცველთა სიმრავლე და სოციალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის დაბალი ინფორმირების დონე;
- სუბსიდირების პროგრამების მოთხოვნების აცდენა ადგილობრივ სპეციფიკასთან, ვინაიდან იგეგმება ცენტრალურ დონეზე და ვერ ასახავს ადგილობრივ გამოწვევებსა და საჭიროებებს;
- მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები განიცდიან მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობას, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გადინებას;
- მასწავლებლების ნაკლებობა, რაც გამოწვეულია ადგილზე დაბალი ანაზღაურებით;
- პროფესიული განათლების

	არადამაკმაყოფილებელი დონე; • ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა; • ახალგაზრდებში სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირების დაბალი დონე; • ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას[18]; • ახალგაზრდებისთვის ბიზნესის დასაწყებად საწყის კაპიტალთან წვდომის პრობლემა; • ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა საგრანტო კონკურსებში; • ახალგაზრდებისათვის განათლების მიღების, კულტურული ცხოვრების, სპორტული და გასართობი ღონისძიებების არასაკმარისი დონე; • ბიბლიოთეკებში წიგნების ფონდის განახლების შესაძლებლობის არ ქონა; • სპორტული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის პერიოდში არასათანადო მოვლა-შენახვა და დაზიანების ფაქტები, რაც ზრდის გაუთვალისწინებელ ხარჯებს; • ახალგაზრდებისთვის საწყის კაპიტალთან წვდომის სირთულე და გრანტების ნაკლები პოპულარობა, როგორც საწყისი კაპიტალის მოძიების ერთ-ერთი ინსტრუმენტი; • ახალგაზრდებისათვის მუნიციპალიტეტში ცხოვრების და მუშაობის დაბალი მოტივაცია.
შესაძლებლობები • სხვადასხვა ტიპის პროფესიული, საგანმანათლებლო და კულტურული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის ზრდა; • ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა წამახალისებელ და მიზნობრივ პროგრამებში;	***საფრთხეები*** • ახალგაზრდებისთვის ყველაზე მიმზიდველი შესაძლებლობებისა და რესურსების დიდ ქალაქებში თავმოყრა; • ტრადიციული დარგების დავიწყება; • ახალგაზრდების გადინება და დარჩენილი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შემდგომი გაუარესება; • ბუნებრივი კატასტროფები.

[18] საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“-ს მიერ ჩატარებული კვლევა. (2021)

- ახალგაზრდებისა და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა პროგრამების არსებობა - როგორც სახელმწიფო, ასევე, დონორების მიერ დაფინანსებული;
- განვითარების პოტენციალი ადგილზე შესაძლებლობების აუთვისებლობიდან გამომდინარე;
- შემოქმედებითი ჯგუფებისა და პროექტების ხელშეწყობა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

5.7. ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, როგორც მაღალმთიანი დასახლება, სარგებლობს კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათებით, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის წახალისებასა და ბიზნეს აქტივობის ხელშეწყობაში. სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტის ქსელის ხელმისაწვდომობა ასევე ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს დისტანციური მუშაობისა და ყოველდღიური საქმიანობის გამარტივების შესაძლებლობა. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას. თუმცა, აღნიშნული პოზიტიური ფაქტორების მიუხედავად, მუნიციპალიტეტი აწყდება სერიოზულ სოციალურ და დემოგრაფიულ გამოწვევებს. შიდა და გარე მიგრაცია, დაბალი შობადობა, პროფესიონალი მუშახელის ნაკლებობა და სოციალურად დაუცველთა სიმრავლე სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ახალგაზრდების დიდ ნაწილს მუნიციპალიტეტში არ აქვთ საკმარისი განათლების, კულტურული ცხოვრების ან პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, რაც უბიძგებს მათ უკეთესი ცხოვრების პირობების ძიებისკენ სხვა მუნიციპალიტეტებსა ან უცხოეთში. ეს იწვევს მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული სურათის გაუარესებას და ეკონომიკურ დეფიციტს, რაც შემდგომში

უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებაზე. ახალგაზრდებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობები შეზღუდულია, განსაკუთრებით პროფესიული და ტექნიკური განათლების მიმართულებით. ეს ართულებს მათი ჩართულობის გაზრდას ადგილობრივ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში. არ არსებობს საკმარისი კულტურული და გასართობი ღონისძიებები, რაც ზღუდავს ახალგაზრდების სოციალურ აქტივობას და ხელს უწყობს მათ დემოტივაციას. სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და მუნიციპალიტეტის შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამების სიმცირე ასევე უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების განვითარებაზე. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება სოციალურ და დემოგრაფიულ საკითხების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მიგრაციის ტემპის შემცირება, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ახალგაზრდებისა და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის ცხოვრების, დასაქმებისა და დასვენების უკეთესი შესაძლებლობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: თანამედროვე, ახალგაზრდების საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	ახალაზრდებისთვის ერთ-ერთ წუხილს წარმოადგენს მათზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და რესურსების (მათ შორის ლიტერატურის) ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც მუნიციპალიტეტში ცხოვრებას მათთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის. მსგავსი შესაძლებლობების ადგილზე შექმნამ და გამრავალფეროვნებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებისთვის საჭირო გარემოს განვითარებას.
ამოცანა #2: ახალგაზრდების ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი) გაზრდა	მიუხედავად ახალგაზრდებში ბიზნეს საქმიანობის დაწყების მიმართ მაღალი ინტერესისა, ამ ინტერესის რეალიზების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია ფინანსებსა და საჭირო უნარებზე დაბალი ხელმისაწვდომობით. ამ მიმართულებით მიზანმიმართულმა მუშაობამ

	ხელი უნდა შეუწყოს სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერებას, სულისკვეთების პრაქტიკულ რეალიზებას, რაც გაზრდის მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ აქტივობას, შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს, ადგილზე მოახდინონ საკუთარი უნარებისა და ინტერესების რეალიზება, დასაქმდნენ, შექმნან სამუშაო ადგილები და გაუმყარდეთ მუნიციპალიტეტში დარჩენის მიმართ ინტერესი.
ამოცანა #3: ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის განვითარებასა და ახალგაზრდული საკითხების გადაწყვეტაში	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა-გადაწყვეტაში. უფრო კონკრეტულად, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ძალიან მცირე წილი იჩენს აქტიურობას მსგავსი საკითხებისადმი. ამ მიმართულებით მიზანმიმართულმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების გააქტიურებას ისეთ საკითხებსა და გადაწყვეტილებებში, რომელიც პირდაპირ აისახება მათ მომავალ საცხოვრებელ გარემოზე.

6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულება

6.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა), მრეწველობის (ენერგეტიკა, გადამამუშავებელი), მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებით.

ამათგან, სტარატეგიული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობას გააჩნია, ტრადიციულად მევენახეობის და მეცხოველეობის, ნაწილობრივ კი მემარცვლეობის და მეფუტკრეობის დარგებით. მაღალხარისხოვანი საწარმოო ვაზის ჯიშებია ადგილობრივი აბორიგენური ,,ალექსანდროული“ და ,,მუჯურეთული“, ისინი ბუნებრივად იძლევიან ორიგინალურ, ნახევრად ტკბილ, საქვეყნოდ ცნობილ ,,ხვანჭკარას“, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მეღვინეობის სახეა და სწორედ ამბროლაურის მუნიციპალიტეტშია გავრცელებული. ეს ჯიშები შეტანილია საქართველოს უძვირფასესი ვაზის ჯიშების სტანდარტულ ასორტიმენტში. შესაბამისად, ამბროლაური, თავისი „ხვანჭკარის“ უნიკალური მიკროზონით ქართული მეღვინეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბაზას წარმოადგენს. სრულყოფას მოითხოვს ვაზის მოვლა-პატრონობის მიზნით ჩატარებული აგრო-ტექნიკური ღონისძიებები. დასანერგია უცხოური გამოცდილებები და მიღწევები, ამ მიზნით ჩასატარებელია ფართო მასშტაბიანი და სისტემატური ახსნა-განმარტებითი სამუშაოები.

საყურადღებოა, კაკლოვანი კულტურების მოუსავლიანობაც, რაჭული კაკალი (ნიგოზი) საკმაოდ პოპულარული და ცნობადია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ ამორტიზებული და მოუვლელი ნარგაობების გამო მოსავლიანობა მინიმუმამდეა დასული, კოოპერატივი „ველიშიორი“ პროექტი „დანერგე მომავლის“ ფარგლებში აწარმოებს კაკლის ხეების გაშენებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სოფლად კაკლოვანი კულტურის განვითარებას.

მეცხოველეობის დარგი ძირითადად წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით და შესაბამისად, მეცხოველეობას აქვს ხორცისა და რძის წარმოების მიმართულება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამზადებული ხორცისა და რძის პროდუქტი არის ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი და ჯანსაღი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა დაბალი პროდუქტიულობის, სასელექციო მუშაობის არ არსებობის და არადამაკმაყოფილებელი ვეტერინარული მომსახურეობის გამო, შესაბამისად, მეცხოველეობის დარგი სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობა არსებობს მესაქონლეობის განვითარებისათვის, ამ პოტენციალის სრულად ათვისება ვერ ხერხდება.

რაჭული ლორი ქართული სუფრის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. აქედან გამომდინარე, ღორის მოვლა-მოშენება (მეღორეობა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობისათვის ერთ-ერთი ტრადიციული მიმართულება იყო და რჩება დღესაც. მუნიციპალიტეტში 2017 წლიდან ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი შპს „რაჭული ლორი", რომელიც აწარმოებს რაჭული ლორის გამოყვანას.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი ხარისხის თაფლს სვანეთსა და რაჭაში იღებდნენ, რაც ნექტროვანი ხე-მცენარეების სიუხვით და მრავალგვაროვნებით იყო განპირობებული.

> დაახლოებით 400 მეფუტკრე ფერმერი ფლობს 4000 ფუტკრის ოჯახს. მეფუტკრე ფერმერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტები", რომელიც აწარმოებს თაფლს, ფუტკრის რძეს, ყვავილის მტვერს და ჭეოს.

მუნიციპალიტეტში მებაღეობა გადაბერებული ნარგავების და ხილის დაბალი ფასის გამო სუსტად არის განვითარებული და ძირითადად გვხვდება მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში. აღნიშნული დარგის განვითარებას აქვს პერსპექტივა, თუ მოზიდული იქნება სათანადო ინვესტიციები გადამამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად. თავისი გემური თვისებებიდან გამომდინარე აქ მოწეული ხილი ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთა არის.

ცხრილი #5: ინფორმაცია 2022 წელს მნიშვნელოვანი კულტურების ფართობის, წარმოების საჰექტარო მოსავლიანობის შესახებ[19]

	კულტურების ფართობი (ჰა)	მოსავლიანობა (ტონა)
ვენახი სულ:	1001.4	2518
მათ. შორის ალექსანდრეული	628.8	1580
სიმინდი	64.1	28.4
ლობიო	32.05	27.3
ნიგოზი	107	162.5
ვაშლი	107.8	982
მსხალი	23.8	107.8
ქლიავი	26.20	122.2

არსებობს რიგი პრობლემები და გამოწვევები, რომელიც სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას აფერხებს და რომელთა დროული მოგვარება ხელს შეუწყობდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის განვითარებას. კერძოდ, არ არის სრულად ათვისებული „ხვანჭკარის" მიკროზონაში არსებული მიწის რესურსები, ვენახების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია და საჭიროებს განაშენიანება-განახლებას. გასული საუკუნიდან გამომდინარე, როდესაც ყურადღება ექცეოდა ყურძნის ფერს და არა ჯიშს, საკმაოდ ბევრი

[19] ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემები.

დაბალხარისხიანი ვაზია გაშენებული მიკროზონის ტერიტორიაზე; არ არსებობს მისი პროცესისგან გამოთიშვის სრულყოფილი მექანიზმი; შედეგად უარესდება წარმოებული ღვინის ხარისხი. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში, მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

უკანასკნელ წლებში ბიზნესის განვითარების პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია 1 632 ჰა. არასასოფლო დანიშნულების მიწა, 108 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთაგან 92% დატვირთულია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებით. ხდება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია, ასევე საოფისე ფართების იჯარით გაცემა. ამ ეტაპზე სულ გაცემულია სარგებლობის უფლებით 52 ობიექტი, საიდანაც 16 სასყიდლიანი ფორმითაა (იჯარა)[20].

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 31 292.35ჰა. აქედან, კერძო საკუთრებას შეადგენს 3 825.9ჰა, მუნიციპალური საკუთრება - 1.47ჰა, დანარჩენი ფართობი კი სახელმწიფო საკუთრებაა - 27,464.98ჰა. დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება ხდება სათიბებად, საძოვრებად, სახნავებად. არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართობია 19 561.95ჰა. აქედან, კერძო საკუთრებას შეადგენს 102.86ჰა., მუნიციპალური საკუთრება - 1 632.11ჰა, სახელმწიფო საკუთრება - 17 826.98ჰა.

> მუნიციპალიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწების გარკვეული რეზერვი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ფერმერული მეურნეობების განვითარების შემთხვევაში, რაც საბოლოო ჯამში ბიუჯეტში მოიზიდავს დამატებით სახსრებს.

მუნიციპალიტეტი მცირე მიწიანია და არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დაბალმოსავლიანია ზოგიერთი კულტურისათვის. აგრო-სექტორის განვითარების, მიწების რაციონალურად გამოყენებისათვის და კულტურების სწორად შესარჩევად, მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს აგრო და სერვის ცენტრები. 2022 წლამდე არსებობდა შპს ,,მექანიზატორი“, რომელიც გაუქმდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მდ. რიონმა და მისმა შენაკადებმა წალეკეს და მოსავლის მოყვანისათვის გამოუსადეგარი გახადეს დაახლოებით 70ჰა მიწის ნაკვეთი.

[20] ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემები

მეწყრული მოვლენების გამო გამოუსადეგარი გახდა დაახლოებით 40ჰა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ვიზუალური დაკვირვებითაც ნათლად ჩანს, რომ ფერდობებზე განფენილი სავარგულების დიდი ნაწილი ეროზირებული და გამოფიტულია. სათანადო დონეზე ვერ ხდება ნიადაგების სტრუქტურის ქიმიური მდგომარეობის შესწავლა, ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებებით სისტემური კვლევების და შესაბამისი მელიორაციული ღონისძიებების განხორციელება. პირველყოვლისა, ეს შეეხება იმ მიწებს, რომლებიც წყლის არათანაბარი რეჟიმების გამო საჭიროებს მორწყვას ან სადრენაჟე სისტემების მოწყობას. ასევე, აუცილებელია ჩატარდეს გასანეიტრალებელი სამუშაოები იმ მიწებზე, რომლებსაც ახასიათებს არახელსაყრელი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. კერძოდ, მომატებული მჟავიანობა, მარილიანობა და ა.შ.

> განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროზირებულ მიწებს, რომელიც ქარებისა და ჭარბი წყლისგან განიცდიან მწვავე მექანიკურ დაზიანებას, რის შედეგადაც ხდება ნიადაგის ჩარეცხვა, ხევების წარმოქმნა და ნიადაგის გამოფიტვა.

პროექტის "მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა დაინტერესდა სოფლის მეურნეობის სექტორში თვითდასაქმებულთა რაოდენობითა და მათი ძირითადი მახასიათებლებით. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 13% დაასახელა, რომ თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობის დარგში და აღსანიშნავია, რომ მათ შორის ჭარბობდნენ ქალები (62%). ასაკობრივ ჭრილში, სოფლის მეურნეობის სექტორში თვითდასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა მოდის 36-45 და 56-65 წლის ასაკობრივ ჯგუფებზე (72%). აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა უმრავლესობა (60%) თავის შემოსავალს აფასებდა როგორც ცუდს, ხოლო დარჩენილი რაოდენობა საშუალოდ ან დამაკმაყოფილებლად; არცერთ რესპონდენტს არ შეუფასებია საკუთარი შემოსავალი როგორც "კარგი". სოფლის მეურნეობის დარგში თვითდასაქმებულთა შინამეურნეობების შემოსავლის კუთხითაც საკმაოდ ნიშანდობლივი სურათი გამოიკვეთა; რესპონდენტთა მხოლოდ 2% შინამეურნეობას ჰქონდა ყოველთვიური შემოსავალი 2000 ლარზე მეტი; ძირითადი ნაწილის (70%) შემოსავალი კი მერყეობდა 300-დან 1000 ლარამდე. ეს გარკვეულწილად მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები ძირითადად დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობებიდან არიან.

6.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მიმართულების შეჯამება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტს სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქვს საკმაოდ უნიკალური შესაძლებლობები მიკროზონებისა და ქვეყნის ფარგლებში ცნობადი პროდუქციით, როგორიცაა რაჭული ლორი, კაკალი, თაფლი და სხვა. თუმცა, მიუხედავად ამ უნიკალური შესაძლებლობებისა, სოფლის მეურნეობის მიმართულება სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ვერ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტან დარგს.

მთლიანობაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები არის ძალიან დაბალი და მოითხოვს მუნიციპალიტეტის მხრიდან სისტემურ

მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მეღვინეობა-მევენახეობისა და თაფლის წარმოების მიმართულებით არის ხელშესახები შედეგები, ხოლო გაზრდილი მოთხოვნის ფონზე ხორციელდება ვენახების მოშენება და ღვინის წარმოების ზრდა, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მეტი ძალისხმევა და მხარდაჭერა. ასევე, უმნიშვნელოვანესია სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების კუთხით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს:

- პროდუქციის ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად ლაბორატორიების ფორმირება;
- პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა და გასაღების ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება;
- შეღავათიან აგროსესხებზე ხელმისაწვდომობის ზრდა
- მეცხოველეობის დარგის განვითარება და მესაქონლეობაში ახალი ჯიშების მოშენება;
- ადგილობრივი მეწარმეების წახალისება, მაგალითად: პროდუქტის ხარისხის ნიშნის და სტანდარტის დანერგვა;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტექნიკის რაოდენობის ზრდა;
- სოფლის მეურნეობის კუთხით ადგილობრივი მოსახლეობის არასათანადო განათლებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების არ ქონის გამო, სასწავლო პროგრამების განხორციელება და საგანმანათლებლო რესურსებზე გაუმჯობესებული წვდომა;
- კლიმატის ცვლილებების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება, ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების შესახებ ცნობიერების ამაღლება, სოფლის მეურნეობაში კლიმატ-მედეგი პრაქტიკების დანერგვის წახალისება;
- უცხოური პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა;
- მუნიციპალიტეტში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების გახსნა (გამონაკლისია საწარმო „გეოფლაუერი“);
- პროდუქტის ბრენდინგთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნის გაუმჯობესებ;
- სოფლის მეურნეობის დარგში ახალ მიმართულებებზე ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
- წარმატებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაზიარების მეტი შესაძლებლობა;
- საგრანტო კონკურსების მოთხოვნები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ თავისებურებებს და გამოწვევებს.

6.3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ეკოლოგიურიად სუფთა გარემო და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია;
- ვაზის ისეთი ენდემური ჯიშების

სუსტი მხარეები

- სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის პროფესიული განათლებისა და

არსებობა, რომლებიც მხოლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის არის დამახასიათებელი; • ტყის რესურსები და ტყის რესურსების ბიომრავალფეროვნება, სამკურნალო მცენარეების არსებობა; • შაორის წყალსაცავი; • სოჭის გირჩის მოპოვების მაღალი პოტენციალი; • ღვინის მასალების გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა და ღვინის წარმოების დიდი ტრადიციები; • ვაზის უნიკალური ჯიშების არსებობა, ღვინო „ხვანჭკარას“ საერთაშორისო ცნობადობა; • სათიბ-საძოვრების დიდი რესურსი და პოტენციალი; • სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციის მოყვანის უნიკალური ტრადიციის არსებობა.	კვალიფიკაციის დაბალი დონე; • მეცხოველეობის განვითარების დაბალი მაჩვენებელი; • გაუხეშებული სათიბ-საძოვრები; სასოფლო სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია (მცირე ზომის ნაკვეთები); • სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ფერმერული გაერთიანებების სიმცირე; • სათანადო დონეზე არ ხდება ეროზირებული და გამოფიტული ნიადაგის შესწავლა, სისტემური კვლევებისა და მათზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებების გატარება • სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის კონტროლის დაბალი დონე; • სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები არ არსებობა; • ფინანსურ რესურსებზე (როგორც საკრედიტო, ასევე საგრანტო) ხელმიუწვდომლობა; • არადამაკმაყოფილებელი ვეტერინარული მომსახურება; • სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად დაფინანსებისა და საგრანტო პროგრამების სიმცირე; • აგროპროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.
შესაძლებლობები • ინვესტორთა გაზრდილი ინტერესი ტყის და წყლის რესურსების და წიაღისეულის მიმართ; • ფერმერთა ასოციაციებისა და კორპორაციული გაერთიანებების შექმნის სტიმულირება; • ეკოლოგურად სუფთა პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნა	***საფრთხეები*** • ბუნებრივი კატაკლიზმები და კლიმატის ცვლილება; • მიგრაციული და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის არასასურველი თანაფარდობის ზრდა; • ტყის ხანძრები, ტყის მავნებლების და დაავადებების გავრცელება;

როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ;

- შემოქმედებით ინდუსტრიებზე, როგორიც არის ეკოტურიზმი და გასტროტურიზმი გაზრდილი მოთხოვნის არსებობა და მისი განვითარება;
- სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარების ხელშეწყობა;
- სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ავთენტურ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა;
- მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შემოყვანის ხელშეწყობა და გაუხეშებული სათიბ-
  საძოვრების გაკულტურება;
- ბიო მეურნეობების განვითარება;
- გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამები;
- რაჭული ლორის პოპულარიზაცია და მუნიციპალიტეტის ბრენდინგისთვის ფერმერთა ასოციაციებისა და კორპორაციული გაერთიანებების შექმნის სტიმულირება;
- სპეციალური, კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებული და სათანადო აპარატურით აღჭურვილ სამსახურის შექმნა, რომელიც განახორციელებს ნიადაგის სტრუქტურის ქიმიურ-ბიოლოგიურ კვლევებს, რის საფუძველზეც მოამზადდება დასკვნები და რეკომენდაციები ნიადაგების ქიმიური თვისებების გაუმჯობესების მიზნით;
- სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციისთვის საერთასორისო გამოფენებზე
- სოფლის მეურნეობაში დაავადებებისა და მაცნებლების გავრცელება;
- პანდემია და მისგან გამომდინარე შეზღუდვები;
- დაბალფასიანი პროდუქციის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან;
- ადგილზე წარმოებული პროდუქციის ფალსიფიცირების საფრთხე.

მონაწილეობის ხელშეწყობის პროგრამები.	

6.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გააჩნია სოფლის მეურნეობის ტრადიცია, რაც მოიცავს სხვადასხვა პროდუქციის წარმოებას, ტყის რესურსების და სამკურნალო მცენარეების გამოყენებას, შაორის წყალსაცავისა და სოჭის გირჩის მოპოვების პოტენციალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღვინის წარმოების ტრადიციას, ვაზის უნიკალური ჯიშებს და სათიბ-საძოვრების დიდ რესურსს, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის განვითარებას. მიუხედავად ამ რესურსებისა, მუნიციპალიტეტი აწყდება გამოწვევებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის დაბალი კვალიფიკაცია და ცოდნა, რაც აფერხებს მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებების განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების სიმცირე და ნიადაგის პრობლემები კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას, რაც გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე და კონკურენტუნარიანობაზე. საწარმოები არ ფუნქციონირებენ სათანადოდ, ხოლო ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა დაბალია. ვეტერინარული სერვისების ნაკლებობა და აგროპროდუქტების რეალიზაციის სირთულეები ასევე ხელს უშლის განვითარებას. სახელმწიფო და დონორების მხარდაჭერის პროგრამების ნაკლებობა კი ართულებს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას და ბაზარზე შესვლას. ამ პრობლემების გადაჭრა მოითხოვს სისტემურ ხედვას, პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და სამთავრობო და დონორი პროგრამების გამოყენებას, რათა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის სექტორის ეფექტიანობა. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის საკითხების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება, რაც გულისხმობს როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მიმართულებების განვითარებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, ინოვაციური მიდგომებისა და როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას და მდგრად განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: სოფლის მეურნეობაში	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის

თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, კლიმატ-გონივრული გადაწყვეტების, ხარისხის კონტროლის, თანამშრომლობისა და ბრენდირების კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	მეურნეობის ტრადიციული დარგები ნაკლებად განვითარებულია და მათში თანამდროვე მიდგომებისა და შესაძლებლობების გამოყენება იშვიათად ხდება, რაც ამყარებს ფართოდ გავრცელებულ რწმენას, რომ სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენს მომგებიან მიმართულებას. ეს თავისმხრივ იწვევს იმას, რომ სოფლის მეურნეობით დაკავება ნაკლებად მიმზიდველია ახალგაზრდებში და მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობისას ხდება ამ დარგით დაკავება. ეს ამოცანა მიმართულია დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლისა და მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისკენ ამ მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში დარგის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.
ამოცანა #2: სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატების დანერგვის სტიმულირება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მცირემიწიანი და დანაწევრებულია.[21] იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის დამუშავება/გადამუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები გადაიჭრას, თანამშრომლობა ფერმერთა შორის (იქნება ეს კოოპერატივი, კლასტერი თუ სხვა ტიპის ფორმატი) აუცილებელია; სხვამხრივ დარგს განვითარება გაუჭირდება. ეს ამოცანა მიმართულია თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატის ხელშეწყობისკენ ადგილობრივ ფერმერებს ან/და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირთა შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის გამსხვილებასა და განვითარებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.
ამოცანა #3: სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამუშავებელი და გადამამუშავებელი წარმოებისა და ამ პროცესში კლიმატ-გონივრული გადაწყვეტების გამოყენების სტიმულირება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტიში, გარდა ღვინის წარმოებისა და გამონაკლისი მიმართულებებისა, გადამამუშავებელი წარმოება ნაკლებადაა წარმოდგენილი, რაც მნიშნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციაში დამატებითი ღირებულების შესაქმნელად. ამ მიმართულების ხელშეწყობამ შესაძლებელი

[21] სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცირე ზომის მიწებს ფლობს ბევრი ინდივიდუალური მესაკუთრე.

> უნდა გახადოს სოფლის მეურნეობის მიმართულების სარგებლიანობის გაზრდა, რაც მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო მეტ ადგილობრივს დააინტერესებს, დაკავდეს სოფლის მეურნეობით.

7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება

7.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების მიმოხილვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (მდინარეები, ტბა, წიაღისეული) და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, ისევე როგორც რეგიონისთვის დამახასიათებელი პროდუქციით და უნიკალური სამზარეულოთი. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ხდება კომერციალიზაციის ისეთი მასშტაბის მიღწევა, რაც მკვეთრად გაზრდის წარმოებისა და ტურისტული ბიზნესის მასშტაბებს, დასაქმებულთა რაოდენობას და მუნიციპალიტეტის ცნობადობას. მთლიანობაში, მოკლე ტურისტული სეზონი, კვების ობიექტებისა და მომსახურე პერსონალის სიმცირე, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, მარკეტინგული გათვლების დაბალი დონე, ასევე, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სიმცირე და მაღალი სეისმური აქტივობა, მნიშვნელოვანწილად აფერხებს ინვესტიციების მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც ძირითადად ხილის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოთი არის წარმოდგენილი. მიუხედავად ხილის გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების დიდი პოტენციალისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს მხოლოდ ერთი გადამამუშავებელი ქარხნა - შპს „გეოფლაუერი“. 2022 წლის განმავლობაში, შპს „გეოფლაუერის“ მიერ წარმოებული იქნა ვაშლის და მსხლის ჩირი, ძირტკბილა, ასკილი, ფორთოხლის ცედრა, ლიმონის ცედრა, მანდარინის ცედრა, გრეიფრუტის ცედრა, ქლიავის ჩირი, ქაცვის ნაყოფი, ველური მოცვის ნაყოფი, რომლებიც გამოშრობის შემდეგ გადაიგზავნა გერმანიაში, „მარტინ ბაუერის“ საწარმოში, ასევე, სხვადასხვა სახის უმაღლესი ხარისხის ჩაი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 8 ღვინის ქარხანა: შ.პ.ს „ნაბერაული Wines“, შპს „როიალ ხვანჭკარა“, შპს ,,ალექსანდრეული“, შპს ,,ხვანჭკარა“, რკ ,,ალვაზი, შპს ,,ლაზმაური“, შპს ,,მელიტონი“ და შპს ,,ბარაკონი“ და 21 მარანი.

> 2022 წელში რეალიზებულია 1 579 ტონა ენდემური ჯიშის ყურძენი - მუჯურეთული, ალექსანდრეული, რაჭული თეთრა - 500 ტონა და ცოლიკაური 80 ტონა.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიღებული

დაფინანსებით განხორციელდა ამბროლაურში „ქვაბტკრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მტკნარი წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა. მთლიანობაში, პროგრამებმა: ,,აწარმოე საქართველოში“, ,,დანერგე მომავალი“ და FAO ხელი შეუწყვეს მუნიციპალიტეტში საწარმოთა რაოდენობის ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

2023 წლის მონაცემებით მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რიცხვმა შეადგინა 1277 ერთეული და იმავდროულად, ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა 2012 წლიდან; ვარდნა აღინიშნა მხოლოდ COVID-19 პანდემიის პერიოდში, როდესაც 2020 წელს მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 4%-ით, თუმცა, 2021 წლიდან ზრდის ტენდენცია განახლდა და აღსანიშნავია, რომ 2022 წელს წინა წელთან შედარებით მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 113%-ით გაიზარდა. ამავე კონტექსტში ბიზნესის ბრუნვა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან ინარჩუნებდა ზრდის ტენდენციას უწყვეტად და წლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 2014 წლიდან 2022 წლამდე შეადგენდა 20%. ამავე პერიოდში მზარდი ტენდენცია აღინიშნებოდა ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულების კუთხითაც, სადაც წლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 17%, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია 2016, 2017, 2019 და 2021 წლები, როდესაც გამოშვებული პროდუქციის ღირებულების წლიურმა ზრდამ შეადგინა 25%-ზე მეტი. ამავე კონტექსტში საინტერესო იყო ფიქსირებულ აქტივებში ბიზნეს სექტორის ინვესტიციების მოცულობა, რომელმაც პიკს მიაღწია 2019 წელს (4.9 მილიონი ლარის ოდენობით), ხოლო პანდემიასთან ერთად მკვეთრად შემცირდა (2020 წელს 1 მილიონ ლარამდე). პოსტ-პანდემიურ პერიოდში ფიქსირებულ აქტივებში ბიზნეს სექტორის ინვესტიციების მოცულობამ კვლავ დაიწყო ზრდა და 2022 წელს შეადგინა 1.9 მილიონი ლარი. რაც შეეხება ბიზნეს სექტორის დამატებულ ღირებულებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მიუხედავად პერიოდული რყევებისა, საერთო ჯამში 2014 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში 140%-ითაა გაზრდილი და 2022 წელს შეადგინა 24.6 მილიონი ლარი.[22]

მუნიციპალიტეტში მოქმედებს კომერციული ბანკების ფილიალები და სერვის ცენტრები, თუმცა, მათი მხრიდან საკმოდ მკაცრი მოთხოვნები არის მცირე ბიზნესის დაფინანსებისთვის. ეს ერთიმხრივ, გამოწვეულია კრედიტის მიღების მსურველთა არასაკმარისი და არასტაბილური შემოსავლებით, ასევე, მუნიციპალიტეტში არსებული უძრავი ქონებისა და მცირე საწარმოთა დაბალი ლიკვიდურობით, ხოლო მეორემხრივ, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და სტიქიური მოვლენების მაღალი რისკების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ განხორციელდებული სხვადასხვა ბიზნესის მხარდასაჭერი პროგრამებისა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო რათა მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალოს და მუნიციპალიტეტში უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდეს ბიზნესის კეთების სურვილი და შესაძლებლობა .

პროექტის “მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე” ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვიდან ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბიზნესის კეთების კუთხით საკმაოდ

[22] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა.* ხელმისწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/ambrolauri.php?lang=ka

საინტერესო სურათი გამოიკვეთა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ძირითად დამსაქმებელს და ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჭარბობენ სახელმწიფო სექტორში დასაქმებული პირები. გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ ბიზნესის დაწყების მიმართ ინტერესი საკმაოდ მაღალია - რესპონდენტთა 57% უფიქრია ბიზნესის დაწყების შესახებ, თუმცა გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, ხოლო 10.5% ჰქონდა ბიზნესის დაწყების მცდელობა/გამოცდილება. აქვე, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 31.2% მიიჩნევდა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბიზნესის კეთება რთულია. გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ ბიზნესის დაწყების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი არის საწყისი კაპიტალის არარსებობა (რესპონდენტთა 40.3%), ხოლო მათგან ვინც ბიზნესი დაიწყო, დაფინანსების ძირითადი წყარო იყო დანაზოგი. ბიზნესის დაწყების მიმართ მაღალი ინტერესისა და

I. საწყისი კაპიტალის ხელმისაწვდომობა/მოზიდვის შესაძლებლობა - 53%
II. ცოდნის მიღების შესაძლებლობა ბიზნესის არჩეულ სფეროში - 14%
III. შეღავათიანი კრედიტის ხელმისაწვდომობა - 10%
IV. საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ბიზნეს პროექტები - 6%
V. ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობა - 5%

საწყისი კაპიტალის არარსებობის მიუხედავად, რესპონდენტთა 76.5% და მათი ოჯახის წევრებს არასდროს მიუღია მონაწილეობა საგრანტო კონკურსში, რისი ძირითადი მიზეზიც იყო ინტერესის ნაკლებობა. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მიერ ბიზნესის დაწყების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორების ხუთეული, რომელიც რესპონდენტებმა დაასახელეს, ასე გადანაწილდა:

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერესი ბიზნესის დაწყების მიმართ საკმაოდ მაღალია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, თუმცა, იმ პირთა რიცხვი, ვინც ამ ინტერესის რეალიზაცია მოახდინა, საკმაოდ დაბალია. ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად მოსახლეობა აღიქვამს საწყისი კაპიტალის ხელმიუწვდომლობას, თუმცა, იმავდროულად საგრანტო რესურსები არ არის აღქმული როგორც საწყისი კაპიტალის წყარო და საგრანტო კონკურსების მიმართ ინტერესი საკმაოდ დაბალია.

7.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების შეჯამება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, არ არის წარმოდგენილი მსხვილი ბიზნესი, თუმცა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს რამდენიე დიდი კომპანია, რომელიც, მათ შორის, ახდენს წარმოებული პროდუქციის

ექსპორტზე გატანას. იმავდროულად მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია თითქმის ყველა მსხვილი ქართული ბანკი, თუმცა, ადგილობრივი ბიზნესის დაკრედიტებაში, განსაკუთრებით კი დამწყები ბიზნესებისთვის, მათი როლი სკამაოდ მცირეა მაღალი საპროცენტო განაკვეთისა და მკაცრი პირობებიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია, რომ პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ჩატარებული კვლევიდან იკვეთება ამბროლაურის მოსახლეობის მაღალი ინტერესი ბიზნესის დაწყების მიმართ, თუმცა სწორედ საწყის კაპიტალთან წვდომის პრობლემა წარმოადგენს გადაწყვეტილების ვერ-მიღების მთავარ მიზეზს.

აღსანიშავია, რომ მიუხედავად მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მზარდი რაოდენობისა, მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნესები ნაკლებადაა დივერსიფიცირებული და შეზღუდულ მიმართულებებში ფოკუსირდება. ამასთანავე, მიუხედავად მუნიციპალიტეტში ჰესების არსებობისა, მცირე მასშტაბებზე განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება ნაკლებად გვხვდება ადგილობრივ ბიზნესებში, რაც ყოველწლიურად იძენს აქტუალურობას კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე.

სტრატეგიის მომზადების პროცესში ბიზნესის დაწყება-გავითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებად გამოიკვეთა, ასევე, ბიზნესის კეთებისთვის საჭირო უნარების ნაკლებობა, ადგილზე მუდმივად მყოფი ახალგაზრდების ნაკლებობა, საგრანტო კონკურსების პირობებისა და მოთხოვნების შეუსაბამობა ადგილობრივ თავისებურებებთან და ადგილზე ბიზნეს საკონსულტაციო/ბიზნეს ინკუბატორის ტიპის დაწესებულებების არარსებობა.

7.3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და მრავალფეროვანი (ტბა, მდინარეები, ტყე, წიაღისეული) რეგიონი;
- მუნიციპალიტეტში არსებული აეროპორტი;
- მოწესრიგებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, რომლებიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აკავშირებს დიდ ქალაქებთან და სატრანსპორტო კვანძებთან;
- რეგიონისათვის დამახასიათებელი პროდუქციის და ტრადიციული სამზარეულოს არსებობა;

სუსტი მხარეები

- ბუნებრივი რესურსების არ გამოყენება, არაეფექტურად ან არამიზნობრივად სარგებლობა;
- ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის საკმარისი და სპეციალური განათლების არ ქონა;
- ბიზნესის კეთების დაბალი მოტივაცია;
- მცირე სარეალიზაციო ბაზარი და დიდ ქალაქებთან დაშორება;
- ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო საწყის კაპიტალთან წვდომის ნაკლებობა;
- ბიზნეს საკონსულტაციო დაწესებულებების ადგილზე არარსებობა;
- ბიზნეს სექტორში ახალი ტექნოლოგიებით

- მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა;
- შედარებით დაბალი კონკურენცია;
- საგადასახადო შეღავათები.

სარგებლობისა და ცნობადობის არასათანადო დონე;
- მოქმედი ბიზნეს სუბიექტების სიმცირე;
- მწირი ნიადაგები, დამრეცი რელიეფი და მიწების ფრაგმენტაცია;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის სიმცირე.

შესაძლებლობები

- მაღლალმთიანი რეგიონების განვითარებისა და მაცხოვრებელთა დაბრუნების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა;
- უცხოელი პარტნიორების მიერ მუნიციპალიტეტში განვითარების მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება;
- ფინანსურ რესურსებზე წვდომა;
- ადგილობრივი ბრენდების პოტენციალის ათვისების პერსპექტივა;
- ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელის გაფართოება მუნიციპალიტეტში;
- მეწარმეობის, ინოვაციების განვითარების და ფერმერთა, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული სექტორების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებსა და პროექტებში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება;
- მუნიციპალიტეტში არსებული უძრავი ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობა;
- ბიზნეს-სუბიექტების მიერ დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობა;
- მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე ტურისტების მომსახურე კომპანიების დაინტერესება რეგიონით;
- ინტერესი მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის, იდენტობის, ტრადიციების და ენდოგენური პროდუქტების მიმართ;
- გასტრო და ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

საფრთხეები

- შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია;
- კონკურენცია ფასზე;
- კლიმატური ცვლილებები;
- პანდემია;
- მავნებლების, მცენარეთა და შინაური ცხოველების დაავადებების გავრცელება;
- არასტაბილური ბიზნეს გარემო;
- მაღალმთიანი რეგიონებისთვის კანონმდებლობა.

7.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიგრაციის შემცირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. თუმცა, მუნიციპალიტეტი აწყდება მრავალ გამოწვევას, რომლებიც ზღუდავენ ამ პროცესს. ამბროლაური მოშორებულია დიდ ქალაქებს, რაც ართულებს სერვისებზე წვდომას და ბიზნესის განვითარებას. ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რაც აფერხებს ახალი ბიზნესების დაწყებას და არსებული საწარმოების გაფართოებას. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დეფიციტი კიდევ უფრო ზღუდავს ბიზნესის განვითარებას. მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების არსებობისა, საგრანტო კონკურსების მოთხოვნები ხშირად არ შეესაბამება რეგიონის სპეციფიკას. ბიზნეს-ინკუბატორებისა და ტექნოლოგიური პარკების არარსებობა დამატებით ართულებს ინოვაციური ბიზნესების განვითარებას. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს ინფრასტრუქტურის განვითარებას და მეწარმეების ფინანსურ და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას, ასევე კვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც გააუმჯობესებს ბიზნესის განვითარებას მუნიციპალიტეტში. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება ადგილობრივი ბიზნესის პრობლემების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს ახალი ბიზნესების წამოწყების წახალისებას, არსებული ბიზნესების გაძლიერებას და ინოვაციების დანერგვას, რათა რეგიონი გახდეს კონკურენტუნარიანი, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: მეწარმეობით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობის აღჭურვა ბიზნესის წამოწყება-მართვის და დაფინანსების მოპოვებისა უნარებით	ბიზნესის დაწყების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად იკვეთება საწყის კაპიტალთან წვდომის პრობლემა, თუმცა საგრანტო კონკურსებსა და დაფინანსების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია შესაბამისი

	ცოდნისა და უნარების ნაკლებობით. ამასთანავე, იკვეთება გამოწვევები წამოწყებული ბიზნესის მდგრადობასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ კავშირშია ბიზნესის დაგეგმვა, რეალიზებისა და განვითარების უნარ-ჩვევებთან. ამ მიმართულებით ფოკუსირება ეხმიანება ბიზნესის დაწყების მიმართ ინტერესის გარდაქმნას სამეწარმეო სულისკვეთებად და უნარებად, რომელიც შესაძლებელს გახდის ინტერესის პრაქტიკულ რეალიზებას.
ამოცანა #2: ბიზნესის დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებთან ადგილობრივი მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსების თითქმის ექსკლუზიურ წყაროდ აღქმულია საბანკო სესხი, რომლის პირობებიც საკმაოდ მკაცრია, განსაკუთრებით სტარტ-აპ-ებისთვის. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების სხვა ალტერნატიულ შესაძლებლობებზე ინფორმირება საკმაოდ დაბალია და იმავდროულად, საგრანტო და სხვადასხვა ბიზნესის მასტიმულირებელი პროგრამების რესურსი არ არის აღქმული ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობად. ამ მიმართულებით ფოკუსირება ეხმიანება დაფინანსების წყაროების დვერსიფიკაციას და შესაძლებლობების, ისევე როგორც დამოკიდებულებების შეცვლას, როდესაც დაფინანსების წყაროდ მხოლოდ საბაკო პროდუქტებია აღქმული.
ამოცანა #3: ინოვაციური ბიზნეს იდეების განხორციელების მხარდაჭერა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორი ნაკლებადაა დივერსიფიცირებული და დამოკიდებული ბიზნესის შეზღუდულ მიმართულებებზე, რაც ზრდის როგორც რისკს მუნიციპალიტეტისთვის, ასევე, რისკს თავად მოქმედი და დამწყები ბიზნესისთვის - ფასით კონკურენციაზე ფოკუსირებით. ამ მიმართულებით ფოკუსირება მიზნად ისახავს ბიზნესის დივერსიფიკაციას და ინოვაციური ბიზნეს იდეების მხარდაჭერას, რომელიც ითვალისწინებს როგორც სისუსტეებსა და გამოწვევებს ადგილობრივ დონეზე, ასევე იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მუნიციპალიტეტში ბიზნეს გარემო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი

ინოვაციების მხარდაჭერა, რომელიც შეამსუბუქებს დატვირთვას გარემოზე, ხელს არ შეუწყობს ბუნებრივი კატასტროფების ახალი კერების გაჩენას და გააფართოვებს მცირე მასშტაბზე განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას ადგილობრივ სამეწარმეო საქმიანობაში.

8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება

8.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების მიმოხილვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტს ტურიზმის მიმართულებით აქვს პოტენციალი, გახდეს ოთხი სეზონის დანიშნულების ადგილი, თუმცა, სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ეს პოტენციალი მხოლოდ ზაფხულის სეზონზეა ათვისებული და ისიც შეზღუდული მასშტაბით. ქ. ამბროლაურში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, თუმცა, მნიშვნელოვანია ტურისტული პაკეტები იყოს მარტივად ხელმისაწვდომი სხვადასხვა არხით, მათ შორის არასამუშაო დროს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არსებული ისტორიული და ბუნების ძეგლები (მათ შორის არქიტექტურული ღირებულების 103 ძეგლი) და სხვა სიძველეები, დიდ ტურისტულ პოტენციალს ქმნიან. ამასთანავე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტშია შაორის წყალსაცავი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოგზაურებსა და სოციალურ მედიაში. საგულისხმოა, რომ რამდენიმე წლის წინ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მღვიმე ამბროლაურისა და ტყიბულის საზღვარზე, რომელიც კვლევის პროცესშია და მოიაზრება, რომ იყოს დიდი ტურისტული პოტენციალის მატარებელი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უკვე არის ოთხი ტურისტული ბილიკი:

- ✓ სადმელი-რიცეულას ტურისტული ბილიკი
- ✓ ნიკორწმინდა-ჭელიშის ტურისტული მარშრუტი
- ✓ ხოტევი-სხარტალის
- ✓ ზემო კრიხი-სხვავას ტურისტული ბილიკი.

შესანიშნავი ბუნება და გარემო პირობები, იქ გავრცელებული მელიის, მგლის, დათვის, არჩვის პოპულაციები, დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობას იძლევა - შარეულას, ასკის, რიცეულა და ლუხუნის ხეობებში, ხიხა მთის, თარიგონის და სხვა ალპურ მიმართულებებზე.

კულტურული ღონისძიებების ჩატარება ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის. მათ შორის აღსანიშნავია ფესტივალები, რომელიც ყოველწლიურად

ტარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რომლის ფარგლებშიც სტუმრებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ და დააგემოვნონ რაჭული კერძები; ასევე, ეწყობა მუსიკალური და გასართობი სივრცეები; მიმდინარეობს ადგილობრივი წარმოების ღვინისა და სხვა პროდუქტების დაგემოვნება; ფესტივალების ორგანიზატორები არიან როგორც მუნიციპალიტეტი, ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ცალკეულ შემთხვევებში, უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სპონსორობას უწევენ მსგავს ღონისძიებებს.

„ხვანჭკარა“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავიზიტო ბარათს წარმოადგენს და მისი ცნობადობა მაღალია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოტენციალი გარკვეულად გამოიყენება ტურისტების მოსაზიდად, მისი მასშტაბი შესაძლებელია იყოს გაცილებით უფრო დიდი. ამავე კონტექსტში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან სოჭის თესლით მარაგდება ევროკავშირის ნაძვის ხის სანაშენე მეურნეობების დიდი ნაწილი და ამ ფაქტის გამოყენება შესაძლებელია ტურისტული პოტენციალის გასაზრდელად.

მოცემული მომენტისთვის სხვა ტურისტულ ობიექტებთან შედარებით, ყველაზე დიდი პოტენციალი შაორის წყალსაცავს გააჩნია. შაორის წყალსაცავის გარშემო გზის, ბუნებრივი აირის, ელექტრო მომარაგების და წყლის კომუნიკაციების მოწყობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანწილად გაიზრდება ინვესტორების ინტერესი, შესაბამისად, ინვესტიციების მოცულობები. შაორის წყალსაცავის ირგვლივ მოსახერხებელია ველო-ბილიკების და საცხენოსნო ტურების მოწყობა. გარდა ამისა, შაორის ტბაზე შესაძლებელია მეთევზეობის ტურიზმის განვითარება. სწორედ ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულია შაორის ტბის განვითარების გეგმა, სადაც ტბის მიმდებარე ტერიტორიებზე გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ტურისტული , კვებისა და გართობა-დასვენების ობიექტების მოწყობის შესაძლებლობა, შესაბამისი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების: ნიკორწმინდა, ჭრებალო, წესი და შაორი - ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ფარგლებში სხვადასხვა დისციპლინის ექსპერტების მიერ გამოიკვეთა სამი ძირითადი ტურისტული კლასტერის განვითარების პერსპექტივა:

სამთო-სათხილამურო და სათავგადასავლო ტურიზმი, რომელიც ტერიტორიულად კონცენტრირებული იქნება ჭუთხაროსა და სამერცხლეს მთების ირგვლივ.

შაორის ტბის ტურისტულ-რეკრეაციული კლასტერი, რომელიც მოიცავს შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიას (წლის ოთხივე დროს მიმზიდველი ტურისტული ღირსშესანიშნაობა).

ხვანჭკარის ზონა ღვინისა და კულტურული ტურიზმის კლასტერი, მოიცავს ხვანჭკარის ზონის სოფლებს და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ობიექტების განლაგების არეალს და ასევე, გულისხმობს სასოფლო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას.

სამივე ეს კლასტერი და შესაბამისი ტერიტორიები გამოირჩევა განსაკუთრებით საინტერესო პროდუქტით, თვითმყოფადობითა და ხელუხლებელი გარემოთი. თავისი ბუნებით ასახავს რაჭა-ლეჩხუმი-ცაგერისა და ქვემო სვანეთის სპეციფიკურ მიმზიდველობას და ხაზს უსვამს ამ მხარის უნიკალურობას.

უნიკალური ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია, მნიშვნელოვნად გარზდის რეგიონში ვიზიტორთა რაოდენობას, ხელს შეუწყობს სამონადირეო, საცხენოსნო და სხვა ექსტრემალური სახის ტურიზმის განვითარებას. წინასწარი შეფასებებით სათხილამურო დაზვერვის, რელიეფის შეფასების, თოვლის საფარისა და მიწვდომადობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მდ. რიცეულას ხეობაში, ჭუთხაროს მთის მასივის სამხრეთ კალთებზე ჩამოყალიბდეს წარმატებული სამთო-სათხილამურო კლასტერი.

ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ზოგადი სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში #6.

ცხრილი #6: ამბროლაურის ტურიზმის სექტორის ზოგადი მაჩვენებლები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროსტიპის დაწესებულებების რაოდენობა (2023)	41[23]		Booking.com-ზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განთავსებული სასტუმროსა/საოჯახო სასტუმროსა და გასაქირავებელი სახლების რაოდენობა (2024 წ.)	70	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროსტიპის დაწესებულებების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი 2014-დან 2023 წლების პერიოდში	413%[24]		სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ვიზიტორების რაოდენობა (2023)	სულ	15 462 [25]
				საქართველოდან	15 084
				საზღვარგარეთიდან	378
ამბროლაურის მუნიციპალიტეტშ	**სულ**	**297** [26]	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	109[27]	

[23] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა*. ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/ambrolauri.php?lang=ka
[24] იქვე.
[25] იქვე

ი სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ნომრების რაოდენობა (2023)	ლუქსი	18	სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა (2023)
	ერთ ადგილიანი	30	
	ორ ადგილიანი	148	
	სამ ან მეტ ადგილიანი	101	

სტატისტიკიური მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, რომ ვიზიტორთა უდიდესი წილი მოდის რეკრეაციისა და დასვენების მიზნით ჩამოსულ ვიზიტორებზე (2023 წელს 91.4%), 8% საქმიანი მიზნით ჩამოსულ ვიზიტორებზე (2023 წ.) და მცირე რაოდენობა სხვა დანარჩენი მიზნებისთვის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2022 და 2023 წლებში ყველაზე მეტი ვიზიტორი დაფიქსირდა 2010 წლის შემდეგ.[28] აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე დაბალი იყო 2015 წლის შემდეგ და ამ მაჩვენებლის ვარდნა საკმაოდ მკვეთრი იყო - 54.3% შემცირება 2022 წელთან შედარებით.[29]

2023 წელს საერთაშორისო ვიზიტორების 35.5% იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, 43.4% დსთ-ს ქვეყნებიდან და დარჩენილი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან.

ამბროლაურში კვებისა და სავაჭრო ობიექტები ძირითადად წარმოდგენილია ინდივიდუალური საწარმოების სახით და მათი მკვეთრი ნაკლებობა შეინიშნება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 რესტორანი, 7 კვების ობიექტი. აღნიშნული ობიექტები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ზაფხულის პერიოდში მუშაობენ სრული დატვირთვით. მიუხედავად ამისა, არა სეზონზე თითქმის შეუძლებელია ვიზიტორებმა მოიძიონ მოქმედი კვების ობიექტები, რაც ძალიან პრობლემატურია მათთვის.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით კომუნალური გადასახადები მაღალია და მოითხოვს გადახედვას.

ტურისტების იმ კატეგორიისათვის, ვინც ავტომობილის გარეშე ჩამოდის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილება ძალზედ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება სირთულესთან არის დაკავშირებული, ხოლო ინფორმაცია ავტომანქანისა და მძღოლის დაქირავების შესახებ არ არის მარტივად

[26] იქვე.
[27] იქვე.
[28] იქვე.
[29] იქვე.

ხელმისაწვდომი; შესაბამისად, დახმარების გარეშე ამ მომსახურებით სარგებლობა ძალიან გაუჭირდებათ ვიზიტორებს. მუნიციპალიტეტში არ არსებობს ველოსიპედებისა და გადაადგილების სხვა სატრანსპორტო საშუალებების გაქირავების სერვისი, რაც ასევე ზღუდავს ტურისტების შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის მიხედვით, თავისუფლად გადაადგილდნენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საფეხმავლო ბილიკების დიდი ნაწილიც ამირტიზირებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიცეპალიტეტში მოქმედი აეროპორტის არსებობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მგზავრობის ხანგრძლივობას დედაქალაქთან, თუმცა მოცემული მომენტისთვის ფრენების სიხშირე და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

პროექტის "მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში ჩატარდა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობის კვლევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა როგორც პოტენციალი, ასევე გამოწვევები ამ მიმართულებით. გამოწვევებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზოგადად მხარის დაბალ ტურისტულ ცნობადობას, ტურისტული პროდუქტების ნაკლებობასა და მაღალმხარჯველობითი უნარის მქონე ვიზიტორების ნაკლებობას. კვლევამ ასევე გამოავლინა აცდენა არსებულ ტურისტულ პაკეტებსა და ვიზიტორებს შორის, რომლისთვისაც ეს პაკეტებია განკუთვნილი. ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, ისევე როგორც მთლიანად რაჭა-ლეჩხუმის მხარე ნაკლებად ხვდება შემომყვანი ტურისტული ოპერატორების შეთავაზებების არეალში, რაც ერთი მხრივ განპირობებულია ტურისტული ინფრასტრუქტურისა და შეთავაზებების გაუმართაობასთან და ტურისტულ გამოფენებზე, ქვეყნის მიერ ორგანიზებულ ტურისტულ საინფორმაციო კამპანიებში ამბროლაურისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის გაუთვალისწინებლობით.

ტურისტებისათვის უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტში პროფესიონალი გიდების მომსახურეობის სერვისის არსებობა, რომლთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მაქსიმალური ინფორმაციის მიღება ისტორიული ძეგლებისა და კულტურული ტრადიციების შესახებ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გიდების რაოდენობა ძალზედ ცოტაა და ისეთი გიდების რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ ტურისტებს გაჰყვნენ კონკრეტულ ლოკაციაზე ან რომელიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან, კიდევ უფრო ნაკლები. მთელ რიგ ქვეყნებში, ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს და ვითარდება ეკო-ტურიზმი, ექსტრემალური და გასტრონომიული ტურიზმი, რისი დიდი პოტენციალიც აქვს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს. იმისათვის, რომ აღნიშნული სახეობების ტურიზმი განვითარდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და ზოგადად, ტურიზმის სფერო გახდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო, საჭიროა სისტემური მიდგომა არსებული გამოწვევების მიმართ და მათთან გამკლავების კომპლექსური გეგმის დასახვა.

8.2. ტურიზმის მიმართულების შეჯამება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი იყოს ტურიზმის დანიშნულების ადგილი წელიწადის ოთხივე დროს, თუმცა ეს პოტენციალი დიდწილად აუთვისებელია, რასაც მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტს

გარდა იმისა, რომ შეუძლია იყოს ოთხივე სეზონის დანიშნულების ადგილი, ასევე აქვს პოტენციალი მოიზიდოს სხვადასხვა ტიპის ტურიზმით დაინტერესებული მოგზაურები.

ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემშლელი ფაქტორები ხვდება ისეთ კატეგორიებში, რომელთა მოგვარებაც როგორც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, ასევე კერძო სექტორის ძალისხმევით მიიღწევა.

მუნიციპალიტეტისა და მისი ტურისტული შესაძლებლობების დაბალი ცნობადობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ტურიზმის სექტორის შემდგომ განვითარებას უშლის ხელს, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა და ხარისხი, მათ შორის მომსახურების ხარისხი. გამოწვევებს შორის ასევე არის ტურისტული პროდუქტების ნაკლებობა/ხარისხი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მუნიციპალიტეტში კომპლექსური ტურისტული სერვისის შეთავაზებას ვიზიტორებისთვის და რაც გაამარტივებდა ტურისტულ ოპერატორებთან მუშაობას მეტი ვიზიტორის მოსაზიდად. გამოწვევას წარმოადგენს ტურისტული ინფრასტრუქტურაც, როგორც კრძო ასევე საზოგადო - მათ შორის ტურისტულ ლოკაციებამდე მისასვლელი გზები და ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არასამუშაო საათებში და დისტანციურად და სხვა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ასევე განიცდის კვალიფიციური გიდების ნაკლებობას, რომლებიც შეძლებდნენ სხვადასხვა ტიპის დამსვენებელზე მორგებული პროდუქტების შეთავაზებას სხვადასხვა ენაზე.

8.3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, როგორც რაჭის რეგიონალური ცენტრი;
- მუნიციპალიტეტში ერთიანი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არსებობა;
- ტრადიციული რაჭული სამზარეულო და ღვინო;
- მობილური კავშირგაბმულობის და სატელეკომუნიკაციო სისტემების არსებობა;

სუსტი მხარეები

- მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი;
- მოსახლეობის სიმცირე;
- ტურისტული პაკეტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ტურისტუილ პროდუქტებისა და სამიზნე აუდიტორიის შეუსაბამობა;
- ტურისტების შემომყვან ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილების სიმცირე;
- მიგრაცია სხვა მუნიციპალიტეტებში;

- ქ. ამბროლაურში აეროპორტის არსებობა;
- ისტორიულ-კულტურული და ბუნების ძეგლების მრავალფეროვნება;
- ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, სათევზაო და სამონადირეო არეალების, ასევე, ჯომარდობისათვის საჭირო მდინარის არსებობა;
- ადგილობრივი ფოლკლორი;
- მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი;
- სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა.

- მოსახლეობის დაბალი ცნობიერება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კუთხით;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა;
- სასტუმროების ნაკლებობა და მომსახურე პერსონალის მწვავე დეფიციტი;
- ტურიზმის სექტორში მომსახურების დაბალი ხარისხი;
- ტურისტული პროდუქტების ნაკლებობა;
- არასამუშაო დღეებში/საათებში ტურისტულ ინფორმაციასთან წვდომის პრობლემა;
- კვაიფიციური გიდების სიმცირე;
- არასაკმარისი სატრანსპორტო მომსახურეობა;
- არადამაკმაყოფილებელი სამედიცინო სერვისები;
- ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა ენობრივი ბარიერი;
- ინტერნეტთან წვდომის მქონე მოსახლეობის სიმცირე;
- მაღალი კომუნალური გადასახადები;
- მიუსაფარი შინაურ ცხოველთა თავშესაფრის არქონა და მათი პოპულაციის უკონტროლო ზრდა;
- საგრანტო პირობების შეუსაბამობა ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობებთან.

შესაძლებლობები

- ტურიზმის განვითარება საქართველოში და ქვეყნის ცნობადობის გაზრდა როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი;
- სამთო, საფეხმავლო და ველო ტურიზმის განვითარება;
- შაორის ტბისა და მიმდებარე

საფრთხეები

- სტიქიური მოვლენები;
- პანდემია;
- მასშტაბური მიგრაცია;
- პოლიტიკური არასტაბილურობა და ფინანსური კრიზისი;
- გლობალური დათბობა.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენება;

- მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი რეგიონის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისათვის შესაბამისი საკომუნიკაციო და მედია საშუალებების გამოყენება;
- ყოველწლიური ფოლკლორული და გასტრონომიული ფესტივალების გამართვა;
- ზამთრის კურორტის დიდი პოტენციალი;
- გარკვეული სახის სტიქიურ მოვლენებზე პრევენციული ზომების მიღება;
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წახალისება;
- ადგილობრივი მოსახლეობის პროფესიული დონის ამაღლება;
- ტურისტული მარშრუტებისა და ინფრასტრუქტურის გამართვა;
- საკემპინგე ადგილების მოძიება და განვითარება;
- აგრო და ეკო-ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა;
- პილიგრიმული ტურიზმის განვითარება;
- ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა;
- ტურისტული რესურსების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრენინგების ჩატარება;
- ტურისტული პაკეტების შექმნის სტიმულირება და სპეციალიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო სააგენტოებთან კონტაქტების გაღრმავება;
- ახალგაზრდული ბანაკების მოწყობა და კულტურულ საგანმანათლებლო პრტოგრამების განხორციელება.

8.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გააჩნია უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, რაც ქმნის დიდ პოტენციალს ტურიზმის განვითარებისთვის. ისტორიულ-კულტურული ძეგლების მრავალფეროვნება, ტრადიციული რაჭული სამზარეულო და ღვინო აძლიერებს რეგიონის მიმზიდველობას ტურისტებისთვის. ამ ყველაფერს ემატება აეროპორტის არსებობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რეგიონში ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობებს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი, რომ გახდეს ტურიზმის რეგიონალური ცენტრი რაჭის მხარეში, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და გახდება რეგიონალური ტურისტული ჰაბი. თუმცა, მუნიციპალიტეტი აწყდება რიგ სერიოზულ გამოწვევებს, რომლებიც აფერხებს ტურიზმის სექტორის სრულფასოვან განვითარებას. დაბალი ცნობადობა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, ქმნის სირთულეებს პოტენციური ვიზიტორების მოზიდვაში. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, მათ შორის, საფეხმავლო და ველო-ბილიკების ნაკლებობა, ტურისტული ლოკაციების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და სასტუმროების არასაკმარისი რაოდენობა, მნიშვნელოვნად ზღუდავს ვიზიტორების კომფორტს და საშუალებას, რომ დარჩნენ რეგიონში ხანგრძლივად. განსაკუთრებით მწვავეა მომსახურე პერსონალის დეფიციტი და სატრანსპორტო მომსახურების პრობლემები, რაც ამცირებს ტურისტული მომსახურების ხარისხს. რეგიონში სამედიცინო სერვისების არადამაკმაყოფილებელი დონე და ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა ენობრივი ბარიერი კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას, რაც უარყოფითად აისახება ტურისტულ გამოცდილებაზე და რეგიონის მიმზიდველობაზე. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება ტურიზმის პრობლემების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურიზმის პოტენციალის ათვისების მასშტაბის გაზრდა და გამრავალფეროვნება მდგრადი მიდგომების გამოყენებით.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, როგორც ოთხი სეზონის ტურისტული დანიშულების ადგილის, ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა	ამბროლაურის ტურიზმის სექტორის ერთ-ერთი გამოწვევაა მისი დაბალი ცნობადობა, რაც ხელს უშლის ახალი ვიზიტორების მოზიდვას და ტურიზმის სექტორის განვითარებას. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ნაკლებობით (როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად და წვდომის კუთხით). ამ მიმართულებაზე ფოკუსირებამ ხელი უნდა შეუწყოს მუნიციპალიტეტისა და მისი ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდას, რაც მოსალოდნელია, რომ გადაითარგმნება ტურისტების რაოდენობის გაზრდაზე.
ამოცანა #2: ტურიზმის სექტორში დასაქმებული/ტურიზმის სექტორით დაინტერესებული პირების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და მათი შერბილების მიმართულებით.	ტურიზმის მიმართულების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სექტორში მომსახურებისა და პროდუქტების ხარისხის გაზრდა. სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ამ მიმართულებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტული სექტორი მწვავე დეფიციტს განიცდის. შესაბამისად, ამ განვითარების გარეშე ცნობადობის გაზრდასა და ტურისტების მოზიდვაზე მუშაობა გრძელვადიანი შედეგს ვერ გამოიღებს. ეს ამოცანა სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობისკენაა მიმართული.
ამოცანა #3: ტურისტული პროდუქტებისა და ტურიზმის სექტორში ბიზნესის პასუხისმგებლიანი განვითარების ხელშეწყობა	ტურიზმის სექტორი საკმაოდ შეზღუდულადაა განვითარებული - როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად. ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ამ და მომიჯნავე სექტორებში ახალი ბიზნესების/პროდუქტების შექმნა და არსებულის განვითარება, რაც საჭიროებს ხელშეწყობას. ამ მიმართულებით ფოკუსირება მიმართულია ტურიზმის სექტორში პროდუქტებისა და ბიზნესის პასუხისმგებლიანი განვითარების ხელშეწყობაზე, რათა ერთიმხრივ უფრო

> მრავალფეროვანი გახდეს ტურიზმის სექტორი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და ამაღლდეს შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხი, და მეორემხრივ ეს მოხდეს იმ ფორმით, რომ შენარჩუნებული იყოს მუნიციპალიტეტის ბუნებრივი სილამაზე და გარემო.

9. სტრატეგიული ინტეგრაცია

ამბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაანალიზებული და გათვალისწინებული იყო შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი
- ✓ ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2023-2025
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილი
- ✓ საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
- ✓ საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლებისთვის
- ✓ კულტურის სტრატეგია 2025
- ✓ ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია
- ✓ საქართელოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025

ზემოხსენებული დოკუმენტების ანალიზის მიზანი იყო მათი ინტეგრაცია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში, სინერგიის ეფექტის გაძლიერება და იმის უზრუნველყოფა, რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წინააღმდეგობაში არ მოდის მუნიციპალიტეტისა და დარგობრივ შესაბამის სტრატეგიებთან. ამასთანავე, ვინაიდან ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ქვევიდან ზევით მიდგომით, სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა, ამოცანები და აქტივობები ეფუძნება ადგილობრივი მოსახლეობისა და აქტორების ჩართულობით გამოვლენილ საჭიროებებსა და შესაძლებლობების გამოყენების გზებს, ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად.

სტრატეგიის მომზადების პროცესში, ასევე, გათვალისწინებული იყო 2023-2024 წლებში პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში ჩატარებული კვლევა „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის ინფორმირებულობისა და განწყობების კვლევა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების მიმართ“ და ანალიზის დოკუმენტი „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სათავგადასავლო და ეკო-ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობის ანალიზი“. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გამოყენებაც მოხდა სიტუაციური ანალიზისა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვისთვის, ხოლო ანალიზის დოკუმენტმა შესაძლებელი გახადა მეტი ფოკუსირება მუნიციპალიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარების გეგმის განსაზღვრის კუთხით.

10. მონაწილეობითი დაგეგმვა

10.1. დაგეგმვის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა

ამბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო. გამომდინარე იქიდან, რომ ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაფუძნდა 2024 წელს და წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს პირველ ასეთ დოკუმენტს ამბროლაურის LAG-სთვის, დოკუმენტის შემუშავების პროცესში მმართველ საბჭოს დახმარებას უწევდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) გუნდი და პროექტის მიერ დაქირავებული კონსულტანტი.

მოსახლეობის გამოკითხვა

სტრატეგიის მომზადებას წინ უძღვოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც სწავლობდა სამიზნე რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განწყობებს, მოსაზრებებს, გამოცდილებებსა და საჭიროებებს. კვლევისას გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და მისი შედეგები რეპრეზენტატულია როგორც რეგიონის, ასევე, თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობის საქმიანობასთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ნდობის, საჯარო სერვისებით კმაყოფილების, პრიორიტეტული სერვისების, ბიზნესის დაწყება-წარმოებასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და შემაფერხებელ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის მიგნებები გათვალისწინებული იყო წინამდებარე სტრატეგიის როგორც სიტუაციური ანალიზის, ასევე სტრატეგიული ხედვისა და პრიორიტეტების განსაზღვრისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

ახალგაზრდების ჩართულობა

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. დისკუსია გაიმართა ადგილობრივი სკოლების უფროსი კლასების

მოსწავლეებთან, ასევე 23 წლამდე ახალგაზრდებთან. დისკუსიის მიზანი იყო მათი საჭიროებების, წუხილებისა და სამომავლო გეგმების, ისევე როგორც მუნიციპალიტეტში ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ მსჯელობა. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები და წუხილები, რომლებიც ადგილობრივ სკოლის მოსწავლეებს და ახალგაზრდებს აქვთ, ისევე როგორც მათი გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (მათ შორის, სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში - სკოლის დასრულების შემდგომ) დარჩენას არ მოიაზრებდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთობლივი მსჯელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბიზნესის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროებიდან. მსჯელობის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების, საფრთხეებისა და შესაბამისი დარგების განვითარების პერსპექტივების განხილვა.

დისკუსიისას გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები, რომლებიც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მოსაზრებით, აფერხებს და საფრთხეს უქმნის ბიზნესის განვითარებას. მსჯელობა, ასევე, შეეხო სხვადასხვა ტიპის საგრანტო და ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს, რომლებიც მუნიციპალიტეტშია ხელმისაწვდომი, მეწარმეების გამოცდილებას ამ პროგრამებით სარგებლობის შესახებ და პროგრამების შედეგიანობას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჭრილში.

LAG-ის მმართველი საბჭო და მუნიციპალიტეტის აქტიური მაცხოვრებლები

ვიდრე ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაფუძნდებოდა, 2023 წელს, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ჩატარდა 4-დღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან იმ პირთა ნაწილი, ვინც ინტერესი გამოხატა ონის LAG-ის წევრობის შესახებ. ტრენინგში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობის გამო, ტრენინგში მონაწილეობისთვის შეირჩნენ ის პირები, ვინც ყველაზე ადრე დააფიქსირეს ტრენინგში მონაწილეობის სურვილი. ტრენინგი შეეხო LEADER მიდგომის საკვანძო საკითხებს, მათ შორის, ამ მიდგომის პრინციპებსა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. იგივე ტრენინგი განმეორებით ჩატარდა 2024 წლის ივნისში, რომელსაც ესწრებოდნენ ამბროლაურის LAG-ისა და მმართველი საბჭოს ის წევრები, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა წინა ტრენინგზე.

ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. პირველი შეხვედრა დაეთმო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური სიტუაციური ანალიზის წარმოებას, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა-შეთანხმებასა და ამ მიმართულებების ჭრილში SWOT ანალიზის წარმოებას. SWOT ანალიზმა მოიცვა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებები. SWOT ანალიზი, რომელიც მმართველ საბჭოსთან ერთად შემუშავდა, შემდგომ შეივსო სიტუაციური ანალიზისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამოკვეთილი საკითხებით, რომელიც შეჯამებული სახით აისახა სტრატეგიის დოკუმენტში.

11. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება

მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სტრატეგიის მიზნების მიღწევასთან მიახლოების კონტროლი, ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა და სიტუაციის შესაბამისად საჭირო ცვლილებების დროულად ასახვა ამბროლაურის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში.

მონიტორინგი და შეფასება ოთხ-დონიანია და შემდეგი სტრუქტურითაა წარმოდგენილი:

დიაგრამა #2: მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა



I. პირველი და ყველაზე მაღალი დონის შეფასება ეხება სტრატეგიით განსაზღვრულ **ხედვას** და რამდენად უახლოვდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ამ ხედვის რეალიზებას;

II. მეორე დონის შეფასება მოიცავს **სტრატეგიულ მიმართულებებს**, რაც ფარავს თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულ მიზანთან მიახლოებას;

III. მესამე დონე ეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებული **ამოცანების** შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივობების შესრულებასთან;

IV. მეოთხე დონე ეხება **აქტივობების** განხორციელებისა და შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

I დონის შეფასება - სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა

სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვასთან მიახლოება ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. შეფასება მხედველობაში იღებს სტრატეგიით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიმართულებებს, მიმართულებების ქვეშ არსებულ ამოცანებს და მათ ქვეშ განხორციელებულ აქტივობებს და აფასებს, რამდენად მიაახლოვა სტრატეგიით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ამავე სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვას.

შეფასება, ასევე, მიზნად ისახავს სტრატეგიაში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში, ამ ცვლილებების ასახვას სტრატეგიის დოკუმენტში.

II დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მეორე დონის შეფასება მოიცავს **სტრატეგიულ მიმართულებებს** და მათთვის განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების მიზანია იმის განსაზღვრა, რამდენად უახლოვდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტი თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის განსაზღვრული მიზნის მიღწევას. შეფასება ასევე მიზნად ისახავს სტრატეგიაში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში ამ ცვლილებების ასახვას სტრატეგიის დოკუმენტში.

III დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მესამე დონის მონიტორინგი და შეფასება შეეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებულ ამოცანებს. მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი მიმართულების სამოქმედო გეგმის ცხრილში.

IV დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მეოთხე დონის მონიტორინგი და შეფასება შეეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებულ აქტივობებს. მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი მიმართულების სამოქმედო გეგმის ცხრილში.

ცხრილი #7: მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები და პერიოდულობა

მონიტორინგისა და შეფასების დონე	მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეული	ანგარიშების მიმღები/განმხილველი ერთეულ(ებ)ი	პერიოდულობა
I დონე	მმართველი საბჭო	საერთო კრება და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები	წელიწადში ერთხელ
II დონე	მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი	მმართველი საბჭო	წელიწადში ერთხელ
III დონე	მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი	მმართველი საბჭო	6 თვეში ერთხელ
IV დონე	მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი	მმართველი საბჭო	3 თვეში ერთხელ